პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

შპს მსოფლიო განათლების აკადემია; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სასტუმრო მომსახურება“ (ვანის მისამართი)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მაია თოიძე


წევრები:

ნათია მაწკეპლაძე

იზაბელა ფერიშვილი (დარგის ექსპერტი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: მსოფლიო განათლების აკადემია

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის ორგანიზაცია

საიდენტიფიკაციო კოდი: 425060827

სახე:


☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ **პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

,,პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს ,,მსოფლიო განათლების აკადემიაში" ვიზიტის შესახებ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 24 სექტემბრის №MES 3 26 0001307694 ბრძანების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„სასტუმრო მომსახურება“** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების" 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება. ახალ მისამართზე ფუნქციონირების დაწყების განაცხადიდან გამომდინარე, ბრძანების შესაბამისად, დაწესებულება ასევე შეფასდა „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების" 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის დ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის დ.ა) კომპონენტი, აგრეთვე ე) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ე.ა) და ე.ბ) კომპონენტებთან მიმართებით.

„შპს მსოფლიო განათლების აკადემიის ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 26 აგვისტოს №1015166 გადაწყვეტილებით დაწესებულებას მინიჭებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი. დაწესებულებას მოპოვებული აქვს პროგრამების ბაღდათის მუნიციპალიტეტში განხორციელების უფლება. **წარმოდგენილი განაცხადით დაწესებულება ,,სასტუმრო მომსახურება“ პროგრამას იმატებს ვანის მუნიციპალიტეტში.**

,,სასტუმრო მომსახურება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მიზნით, ვანის მუნიციპალიტეტში (მისამართი- ქ. ვანი, ჭავჭავაძის ქ. №22) ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 24 სექტემბერს.


პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,სასტუმრო მომსახურება“ ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან, ვიზიტის პროცესში დამატებით გამოთხოვილი და შესწავლილი იქნა დაწესებულების საქმიანობის ამსახველი მტკიცებულებები. დათვალიერებული იქნა დაწესებულების მატერიალურ - ტექნიკური ბაზა. ჩატარდა ინტერვიუები.

ადმინისტრაციული წარმოების პროცესი წარიმართა თანამშრომლობითი ფორმატში.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:




ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - სასტუმრო მომსახურება

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



	☐ არ შეესაბამება	☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. პროგრამის შეფასების ფარგლებში გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

III.სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება


2.2.1 (1) - ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში არ იყო მოწყობილი C სასწავლო გარემო მოდულისთვის „სასტუმროს კვებისა და სასმელების მომსახურების უზრუნველყოფა“ . მატერიალური რესურსი იყო შეძენილი, მაგრამ წარმოდგენილი იყო შეფუთულ მდგომარეობაში.

გაცემულია შესაბამისობის რეკომენდაცია - შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით, დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა მოდულისთვის „სასტუმროს კვებისა და სასმელების მომსახურების უზრუნველყოფა“ დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით **(დეტალური აღწერა იხილეთ 2.2. 1 (1) ინდიკატორის შეფასება).**

III. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



V.ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში არ იყო მოწყობილი C სასწავლო გარემო მოდულისთვის „სასტუმროს კვებისა და სასმელების მომსახურების უზრუნველყოფა“. მატერიალური რესურსი წარმოდგენილი იყო შეფუთულ მდგომარეობაში. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ 2.2. კომპონენტი შეფასდა როგორც ,,არ შეესაბამება“.


დაწესებულებამ 2026 წლის 6 ოქტომბრის №00008965 კორესპონდენციით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სასტუმრო მომსახურება“ დასკვნის პროექტთან დაკავშირებით. დაწესებულების განმარტებით, ვიზიტის შემდგომ დასრულდა მოდულის „სასტუმროს კვებისა და სასმელების მომსახურების უზრუნველყოფა“ C სასწავლო გარემოს მოწყობა. ამის დასადასტურებლად წარმოდგენილია ფოტომასალა და მოთხოვნილია 2.2 კომპონენტის სრულ შესაბამისად შეფასება.

ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა არგუმენტირებული პოზიცია და თანდართული მასალები. დადგინდა, რომ დაწესებულება დაეთანხმა დასკვნის პროექტში ასახულ ფაქტობრივ გარემოებას, რომ ექსპერტთა ვიზიტის დროს პროგრამის C სასწავლო გარემო მოწყობილი არ იყო, ხოლო მისთვის შეძენილი ინვენტარი შეფუთულ მდგომარეობაში იყო განთავსებული. ავტორიზაციის დებულების 51-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნის პროექტი მზადდება განაცხადის, თანდართული დოკუმენტაციისა და ვიზიტის შედეგების საფუძველზე. ამავე მუხლის მე - 6 და მე - 7 პუნქტები ითვალისწინებს პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებზე დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის განხილვას საბოლოო დასკვნის მომზადებისას. წარმოდგენილი ფოტოები ასახავს ვიზიტის შემდგომ შეცვლილ მდგომარეობას, მაგრამ არ ცვლის ვიზიტისას დადგენილ ფაქტს, რომლის საფუძველზეც, დებულების თანახმად, მზადდება დასკვნა. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება დაწესებულების მოთხოვნას 2.2 კომპონენტის სრულ შესაბამისად შეფასების შესახებ.

ამასთან, ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა, დაწესებულების მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილი, ,,სასტუმრო მომსახურების“ 2.2 კომპონენტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და ავტორიზაციის დებულების მე-40 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, 2.2 კომპონენტი შეაფასა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:




ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	სასტუმრო მომსახურება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სასტუმროს მომსახურებაში; Secondary Vocational Qualification in Hotel Service
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1013
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	N006; 12.04.2024
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული ენა
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ვანის მუნიციპალიტეტი, ქ. ვანი, ჭავჭავაძის ქ. №22
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	100
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:




გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)*	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	74
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	104

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ნაწილი IV. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები


2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას


„სასტუმრო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ვანის მუნიციპალიტეტში განხორციელების გადაწყვეტილება ეფუძნება დაწესებულების მისიასა და სტრატეგიული განვითარების მიმართულებებს, ასევე რეგიონში პროფესიულ განათლებაზე არსებული მოთხოვნისა და პოტენციური პროფესიული სტუდენტების ინტერესების შესწავლის შედეგებს.

„მსოფლიო განათლების აკადემიის“ მისია ითვალისწინებს რეგიონისა და საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის ხელმისაწვდომი, ხარისხიანი და უწყვეტი პროფესიული განათლების შესაძლებლობების შექმნას და კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას. ამასთან, დაწესებულების სტრატეგიული განვითარების ხედვა ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარებას იმერეთის რეგიონში, მათ შორის ვანისა და ბაღდათის მუნიციპალიტეტებში.

დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების და გაუქმების წესი ითვალისწინებს პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებას (კონცეპტუალური მიზანშეწონილობა; რესურსული მიზანშეწონილობა; ეკონომიკური მიზანშეწონილობა; სამართლებრივი მიზანშეწონილობა; ოპერაციული მიზანშეწონილობა; შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობა). შესაბამისად, წარმოდგენილია პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება, რომლითაც დადასტურებულია მისი შესაბამისობა კოლეჯის მისიასთან და სტრატეგიულ გეგმასთან.
ეროვნულ დონეზე ჩატარებული კვლევების ანალიზით დადასტურებულია რომ რეგიონში არის მოთხოვნა სასტუმრო მომსახურების მიმართულებით კადრებზე, ხოლო თავად აკადემიის მიერ ჩატარებული გამოკითხვით დაფიქსირებულია მოსახლეობის დაინტერესება აღნიშნული პროფესიის დაუფლებით. პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებისას გათვალისწინებულია პოტენციური პროფესიული სტუდენტების ინტერესებიც. ვანისა და ბაღდათის მუნიციპალიტეტებში ჩატარებული კვლევის ფარგლებში შესწავლილი იყო ახალგაზრდების ინტერესები პროფესიული განათლების მიმართულებით. კვლევის შედეგებით, „სასტუმრო მომსახურება“ ორივე მუნიციპალიტეტში ყველაზე მოთხოვნად პროფესიულ მიმართულებად გამოიკვეთა: ვანის მუნიციპალიტეტში აღნიშნული მიმართულება გამოკითხულთა 22%-მა, დაასახელა სასურველ პროფესიად, ხოლო ბაღდათის მუნიციპალიტეტში —28%-მა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



აღნიშნული შედეგები მიუთითებს, რომ სასტუმრო მომსახურების მიმართულებით პროფესიული განათლების მიღების მიმართ ვანისა და ბაღდათის მუნიციპალიტეტების ახალგაზრდებში მაღალი ინტერესი არსებობს.

პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობას დამატებით ამყარებს დაწესებულების არსებული გამოცდილება - „მსოფლიო განათლების აკადემია“ 2024 წლიდან ბაღდათის მუნიციპალიტეტში ახორციელებს „სასტუმრო მომსახურების“ პროგრამას, ხოლო 2026 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია პროგრამის ვანის მისამართზე დამატება.

შესაბამისად, პროგრამის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება ეფუძნება როგორც დაწესებულების სტრატეგიულ პრიორიტეტებსა და რეგიონული განვითარების ხედვას, ასევე შრომის ბაზრის მოთხოვნისა და პოტენციური პროფესიული სტუდენტების ინტერესის ანალიზს. პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობას დამატებით ამყარებს დაწესებულების მიერ ბაღდათში შესაბამისი პროგრამის განხორციელების არსებული გამოცდილება და პროგრამის ვანის მუნიციპალიტეტში გაფართოების წინასწარ დაგეგმვა. წარმოდგენილი მტკიცებულებების ერთობლიობით დასტურდება, რომ პროგრამის დამატების შესახებ გადაწყვეტილება არის დასაბუთებული, თანმიმდევრული და შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასა და სტრატეგიული განვითარების მიზნებთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა სრულად არის დადასტურებული.


2.საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას

„სასტუმრო მომსახურება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგენს მეოთხე დონის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება, რაც შესაბამისობაშია კანონმდებლობითა და პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით „სასტუმრო მომსახურება“ დადგენილ მოთხოვნებთან. საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელშიც არ არის ინტეგრირებული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, დაიშვება პირი, რომელსაც აქვს სულ მცირე სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროგრამაზე ჩარიცხვისა და დაშვების პროცედურები რეგულირდება დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული „პროფესიული სტუდენტის სტატუსის მართვის წესით“, რომელიც შესაბამისობაშია საქართველოს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესსა და პირობებთან“.

პროგრამით განსაზღვრული დაშვების წინაპირობა და დაწესებულებაში მოქმედი ჩარიცხვის პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე იმ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე განათლება ქმნის პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების დადგენილ ვადაში მიღწევის საფუძველს. შესაბამისად, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა და ჩარიცხვის პროცედურები შესაბამისობაშია როგორც პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით, ისე მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრული შესაბამისობა

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის


დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომლის თანახმად, ზღვრული ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება: A, B და C სასწავლო გარემოებში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა, პრაქტიკის ობიექტებზე არსებული შესაძლებლობები, პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური და ფინანსური რესურსი. მეთოდოლოგია ასევე ითვალისწინებს სასწავლო პროცესის ორ ცვლაში ორგანიზებისა და, საჭიროების შემთხვევაში, შეჭრილი ცხრილის პრინციპით განრიგის შედგენის შესაძლებლობას.

დაწესებულებამ წარმოადგინა „სასტუმრო მომსახურება“ პროგრამისთვის მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის - 100 პროფესიული სტუდენტის დასაბუთება. დაგეგმილია პროფესიულ სტუდენტთა მიღება ორ ეტაპად, თითოეულ მიღებაზე 50 პროფესიული სტუდენტის ოდენობით, თითო ჯგუფში - მაქსიმუმ 25 პროფესიული სტუდენტი. პროგრამის განხორციელებისთვის დაწესებულებას გათვალისწინებული აქვს ორი A გარემო, ერთი B გარემო, ორი C გარემო (სასტუმროს ნომერი დამხმარე დალაგების სივრცით; სარესტორნო მომსახურებისთვის სივრცე). მათ შორის, სარესტორნო მომსახურების სივრცე წარმოადგენს მოდულის ,,სასტუმროს კვებისა და სასმელების მომსახურების უზრუნველყოფა“ სასწავლო გარემოს და ის ასევე წარმოადგენს ,,სარესტორნო მომსახურების“ პროგრამის სასწავლო გარემოს. სასწავლო გარემოებში არსებული სამუშაო ადგილები და შესაბამისი მატერიალური რესურსი გათვლილია ერთ ჯგუფში 25 პროფესიულ სტუდენტზე. პროგრამის განხორციელებაში ჩასართავად დაწესებულებას ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს 20 განმახორციელებელ პირთან.

ექსპერტთა ჯგუფმა გააანალიზა წარმოდგენილი სასწავლო გეგმა, სასწავლო გარემოთა გამტარუნარიანობა, მატერიალური და ადამიანური რესურსი და დაადგინა, რომ მათი ერთობლიობა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ერთდროულად ოთხ, თითოეულში 25 პროფესიულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



სტუდენტთა ჯგუფში წარმართვის შესაძლებლობას. შესაბამისად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი 100 პროფესიული სტუდენტის ზღვრული ოდენობა დასაბუთებულია და შესაბამისობაშია დაწესებულებაში მოქმედი ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიასთან.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრული შესაბამისობა.

4. **საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დანართის სახით მოიცავს ინფორმაციას პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ, ხოლო შესაბამის მოდულებში განსაზღვრულია საგანმანათლებლო რესურსები.
ექსპერტთა ჯგუფმა გააანალიზა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსები და დაადგინა, რომ მათი ჩამონათვალი და მოცულობა შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით „სასტუმრო მომსახურება“ განსაზღვრულ რეკომენდაციებს და უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.
დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრული შესაბამისობა.


5. **საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან**

„სასტუმრო მომსახურება“ პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ფარგლებში გათვალისწინებულია არჩევითი მოდული — „პრაქტიკული პროექტი-სასტუმრო მომსახურება“. იგი ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან.
დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრული შესაბამისობა.

6. **საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;**

დაწესებულების „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების და გაუქმების წესის“ თანახმად, პროგრამა შემუშავდება დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ და მტკიცდება აკადემიის დირექტორის მიერ, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის დადებითი დასკვნის საფუძველზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის ბრძანებით, რაც შეესაბამება დაწესებულებაში მოქმედი წესით განსაზღვრულ პროცედურას.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრული შესაბამისობა.

7. **პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი**

პროგრამა შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო **სტანდარტის „სასტუმროს მომსახურება“** საფუძველზე. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.


8. **პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის **„სასტუმროს მომსახურება“** საფუძველზე და შესაბამისობაშია კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების და გაუქმების წესთან. თავის მხრივ აღნიშნული წესი ითვალისწინებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებით.

ვიზიტის დღეს დაწესებულებამ წარმოადგინა ,,შპს მსოფლიო განათლების აკადემიის სასტუმრო მომსახურების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ" აკადემიის დირექტორის 2024 წლის 12 აპრილის №006 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აკადემიის დირექტორის 2026 წლის 23 სექტემბრის № 1-01-027 ბრძანება და ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა წარმოდგენილი პროგრამა. წარმოდგენილ პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზანი, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები და მათი დეტალური აღწერა, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა, სწავლების მიდგომები, ასევე ზოგადი, პროფესიული და არჩევითი მოდულები. პროგრამა ითვალისწინებს ქართული ენის A2 და B1 მოდულებს იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროგრამაზე სწავლის უფლება კანონმდებლობით დადგენილი წესით რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების საფუძველზე მოიპოვეს. აღნიშნული პროფესიული სტუდენტებისთვის სწავლება იწყება ქართული ენის შესაბამისი მოდულებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



პროგრამას დანართის სახით ახლავს ინფორმაცია მისი განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ. ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი პირების შესახებ წარმოდგენილია პროგრამის ძირითად დოკუმენტსა და შესაბამის მოდულებში, ხოლო საგანმანათლებლო რესურსებისა და პროგრამის განხორციელების პირობების შესახებ ინფორმაცია ასახულია მოდულებში.

ექსპერტთა ჯგუფმა პროგრამის განხორციელების პირობები შეაფასა წარმოდგენილი პროგრამის, სასწავლო გეგმის, მატერიალური რესურსებისა და სხვა თანდართული დოკუმენტაციის ერთობლიობით და დაადგინა, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულებაში, მათ შორის, შესაბამის იმიტირებულ სამუშაო გარემოში.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.


დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების და გაუქმების წესი (2023 წლის 20 ნოემბრის №008 ბრძანება;
- დაწესებულების მისია;
- შპს მსოფლიო განათლების აკადემიის სტრატეგიული განვითარების გეგმა 2024- 2031 (2024 წლის 23 აპრილის №009 ბრძანება);
- შპს მსოფლიო განათლების აკადემიის 2026 წლის სამოქმედო გეგმა (2026 წლის 20 იანვრის № 00000382 ბრძანება);
- ვანის მუნიციპალიტეტში აკადემიის დაარსების საჭიროების კვლევა: მოსახლეობის განწყობები და მოლოდინები (გამოკითხვის ანგარიში);
- ვანის მუნიციპალიტეტში ჩატარებული გამოკითხვის ანგარიში მოსახლეობაში პროფესიების შესწავლით დაინტერესებასთან დაკავშირებით;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მართვის დებულება - (2023 წლის 13 დეკემბრის №035 ბრძანება ცვლილებებით)
- „პროფესიული სტუდენტის სტატუსის მართვის წესი (2023 წლის 13 დეკემბრის №032 ბრძანება; ცვლილებებით));
- პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული ოდენობის დასაბუთება;
- „შპს მსოფლიო განათლების აკადემიის სასტუმრო მომსახურების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ აკადემიის დირექტორის 2024 წლის 12 აპრილის N006 ბრძანება ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



- ,,შპს მსოფლიო განათლების აკადემიის სასტუმრო მომსახურების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ" აკადემიის დირექტორის 2024 წლის 12 აპრილის №006 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აკადემიის დირექტორის 2026 წლის 23 სექტემბრის № 1-01-027 ბრძანება;
- შპს მსოფლიო განათლების აკადემიის სასტუმრო მომსახურების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ” შპს მსოფლიო განათლების აკადემიის დირექტორის ბრძანება; სამუშაო ჯგუფის ოქმი; ხარისხის მიმართულებით დირექტორის მოადგილის პროგრამის შეფასების ანგარიში; პროგრამის ხელმძღვანელის მიერ პროგრამის შეფასების ანგარიში;
- პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუს შედეგი.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება


2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**


დაწესებულებამ ვანის მისამართზე საქმიანობის განხორციელების მიზნით ააშენა ახალი შენობა, რომელიც ექსპლუატაციაში მიღებულია 2026 წლის აგვისტოში. „სასტუმრო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის დაწესებულებას გათვალისწინებული აქვს სამი ტიპის სასწავლო გარემო (A, B და C).

ვიზიტის პერიოდში სრულად მოწყობილი და აღჭურვილი იყო 25 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი ორი A, ერთი B სასწავლო გარემო. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის ასევე გათვალისწინებულია სასტუმროს ორადგილიანი ოთახი, რომელიც მოწყობილია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად. მოდულის ,,სასტუმროს დაჯავშნისა და მიღება-განთავსების პროცედურების უზრუნველყოფა“ განხორციელების მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ელექტრონული პლატფორმის „არეალით“ სარგებლობასთან დაკავშირებით.

<u>ამასთან, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სასტუმრო მომსახურება“ მოდულის „სასტუმროს კვებისა და სასმელების მომსახურების უზრუნველყოფა“ განხორციელებისთვის გათვალისწინებული C სასწავლო გარემო ვიზიტის პერიოდში მოწყობილი არ იყო. დაწესებულებამ წარმოადგინა C გარემოსთვის განკუთვნილი მატერიალური რესურსის შეძენისა და მიწოდების დამადასტურებელი სასაქონლო ზედნადებები. ვიზიტის პერიოდში აღნიშნული რესურსი ადგილზე იყო განთავსებული, თუმცა შეფუთულ მდგომარეობაში. ექსპერტებმა დაათვალიერეს ფართი, სადაც უნდა მოწყობილიყო სასწავლო გარემო.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



დაწესებულების მიერ შემუშავებული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის თანახმად, პრაქტიკული მეცადინეობისთვის განკუთვნილი სივრცე უნდა უზრუნველყოფდეს პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას და თითოეულ პროფესიულ სტუდენტს უნდა ჰქონდეს შესაბამისი რესურსით აღჭურვილი სამუშაო ადგილი.

მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა C სასწავლო გარემოსთვის საჭირო მატერიალური რესურსის შეძენისა და მიწოდების დამადასტურებელი დოკუმენტაცია და აღნიშნული რესურსი ვიზიტის პერიოდში ადგილზე იყო განთავსებული, C სასწავლო გარემო მოწყობილი არ იყო. შესაბამისად, ვიზიტის ფარგლებში შეუძლებელი იყო 25 პროფესიული სტუდენტისთვის გათვალისწინებული სამუშაო ადგილების რაოდენობის, აღჭურვილობის სათანადოდ განთავსებისა და მისი ფუნქციონალური გამართულობის შეფასება, ასევე სასწავლო გარემოს პროგრამით განსაზღვრული პრაქტიკული სწავლის შედეგების მისაღწევად მზაობის დადასტურება.

შესაბამისად, წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და ვიზიტის ფარგლებში არსებული მდგომარეობის საფუძველზე ვერ დადასტურდა, რომ „სასტუმრო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის გათვალისწინებული C სასწავლო გარემო უზრუნველყოფს 25 პროფესიული სტუდენტისთვის შესაბამისი სამუშაო ადგილებისა და რესურსების არსებობას და პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დასკვნის პროექტში **ინდიკატორი ფასდება როგორც „არ შეესაბამება“.**


<u>დაწესებულებამ 2026 წლის 6 ოქტომბრის №00008965 კორესპონდენციით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სასტუმრო მომსახურება“ დასკვნის პროექტთან დაკავშირებით. დაწესებულების განმარტებით, ვიზიტის შემდგომ დასრულდა მოდულის „სასტუმროს კვებისა და სასმელების მომსახურების უზრუნველყოფა“ C სასწავლო გარემოს მოწყობა. ამის დასადასტურებლად წარმოდგენილია ფოტომასალა და მოთხოვნილია 2.2 კომპონენტის სრულ შესაბამისად შეფასება.</u>

<u>ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა არგუმენტირებული პოზიცია და თანდართული მასალები.</u>

<u>დადგინდა, რომ დაწესებულება დაეთანხმა დასკვნის პროექტში ასახულ ფაქტობრივ გარემოებას, რომ ექსპერტთა ვიზიტის დროს პროგრამის C გარემო (მოდულისთვის- „სასტუმროს კვებისა და სასმელების მომსახურების უზრუნველყოფა“) მოწყობილი არ იყო, ხოლო მისთვის შეძენილი ინვენტარი შეფუთულ მდგომარეობაში იყო განთავსებული. ავტორიზაციის დებულების 51-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნის პროექტი მზადდება განაცხადის, თანდართული დოკუმენტაციისა და ვიზიტის შედეგების საფუძველზე. ამავე მუხლის მე - 6 და მე - 7 პუნქტები ითვალისწინებს პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებზე დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის განხილვას საბოლოო დასკვნის მომზადებისას. წარმოდგენილი ფოტოები ასახავს</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ვიზიტის შემდგომ შეცვლილ მდგომარეობას, მაგრამ არ ცვლის ვიზიტისას დადგენილ ფაქტს, რომლის საფუძველზეც, დებულების თანახმად, მზადდება დასკვნა. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება დაწესებულების მოთხოვნას 2.2 კომპონენტის სრულ შესაბამისობაში შეფასების შესახებ.

ამასთან, ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა, დაწესებულების მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილი, „სასტუმრო მომსახურების“ 2.2 კომპონენტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. დაწესებულებას განსაზღვრული ჰქონდა რომ პროგრამისთვის სასწავლო გარემოს მოწყობა დასრულდებოდა 2026 წლის 25 ოქტომბრისთვის. ვადასთან ერთად განსაზღვრულია პასუხისმგებელი და შემსრულებელი პირები.


ავტორიზაციის დებულების მე-40 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფი 2.2.1(1) ინდიკატორს აფასებს როგორც „მეტწილად შესაბამისი“.

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,სასტუმრო მომსახურება“ განხორციელებისთვის დაწესებულებას პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გაფორმებული აქვს შრომითი ხელშეკრულებები, რაც ადასტურებს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის ფორმალიზებულ ჩართულობას. პროგრამისთვის განსაზღვრულია 20 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის, 8 - ზოგადი მოდულების, ხოლო 12 - პროფესიული მოდულების განმახორციელებელი. დაწესებულების მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესის შესაბამისად, თითოეული მოდულისთვის გათვალისწინებულია მინიმუმ ორი განმახორციელებელი, ხოლო უმეტეს შემთხვევაში - მეტი.
კოლეჯის შინაგანაწესის თანახმად, პროფესიული განათლების მასწავლებელთა სამუშაო დღეები, სამუშაოს დაწყებისა და დასრულების დრო განისაზღვრება სასწავლო პროცესის განრიგით და მოიცავს საკონტაქტო და საკონსულტაციო საათებს, ასევე შინაგანაწესითა და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შესრულებას. შინაგანაწესის თანახმად, აკადემიაში სამუშაო დღის ხანგრძლივობა: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით - 09:00-18:00 სთ, შაბათს - 09:00- 15:00 სთ. სასწავლო პროცესის საჭიროებიდან გამომდინარე და აკადემიის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალისთვის/ცალკეული დასაქმებულისათვის შეიძლება დადგინდეს განსხვავებული სამუშაო განრიგი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



აღნიშნული მტკიცებულებების ერთობლიობით დადასტურდა, რომ პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა, მათი მოდულებზე განაწილება და დაგეგმილი დატვირთვა უზრუნველყოფს პროგრამის უწყვეტ და მდგრად განხორციელებას.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრული შესაბამისობა.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

აკადემიის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული განათლების მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და თანამდებობრივი ინსტრუქცია. აღნიშნული რეგულაციის თანახმად, პროფესიული განათლების მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნად განსაზღვრულია:
ა) შესაბამისი პროგრამით/მოდულ(ებ)ით გათვალისწინებული მისაღწევი სწავლის შედეგების შესაბამისი ან უფრო მაღალი დონის პროფესიული ან/და უმაღლესი განათლების კვალიფიკაცია, რაც დასტურდება უმაღლესი ან პროფესიული განათლების დიპლომით, პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატით;
ბ) შესაბამისი პროგრამით/მოდულ(ებ)ით გათვალისწინებული მისაღწევი სწავლის შედეგების შესაბამისი, ბოლო 10 წლის განმავლობაში სულ მცირე სამწლიანი სამუშაო გამოცდილება;
გ) შესაბამისი პროგრამით/მოდულ(ებ)ით გათვალისწინებული მისაღწევი სწავლის შედეგების შესაბამისი ტრენინგების/არაფორმალური განათლების გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი ან სხვა დოკუმენტი.


როგორც აღინიშნა, პროგრამისთვის განსაზღვრულია 20 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის, 8 - ზოგადი მოდულების, ხოლო 12 - პროფესიული მოდულების განმახორციელებელი. მხოლოდ მეწარმეობის მოდულის განმახორციელებელი მასწავლებელია დაწესებულებაში ახალი და შერჩეულია კონკურსის გზით. დანარჩენ პროფესიული განათლების მასწავლებლებს უკვე აქვთ დაწესებულებასთან თანამშრომლობის, მათ შორის, შესაბამისი მოდულების სწავლებისა და პროფესიული სტუდენტების შეფასების გამოცდილება.

დაწესებულება პროფესიული განათლების მასწავლებელთა კომპეტენციის განვითარების მიზნით პერიოდულად ახორციელებს სამუშაო შეხვედრებსა და ტრენინგებს სწავლებისა და შეფასების მიმართულებით, რაც დასტურდება წარმოდგენილი მტკიცებულებებით.

20

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



წარმოდგენილი დოკუმენტაციის, პროფესიული განათლების მასწავლებელთა განათლებისა და გამოცდილების, დაწესებულებასთან მათი თანამშრომლობის ისტორიის, პროფესიული განვითარების აქტივობებისა და ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების ერთობლივი ანალიზით დასტურდება, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს გააჩნიათ შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასებისთვის საჭირო პროფესიული და პედაგოგიური კომპეტენცია.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრული შესაბამისობა.

4. **პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც იმავდროულად არის ამ პროგრამის პროფესიული მოდულის განმახორციელებელი და რომელსაც გააჩნია დადასტურებული კომპეტენცია პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიმართულებით.**


აკადემიის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და თანამდებობრივი ინსტრუქცია. აღნიშნული რეგულაციის თანახმად, პროგრამის ხელმძღვანელისთვის სავალდებულოდ განსაზღვრულია უმაღლესი განათლება და არანაკლებ სამწლიანი პროფესიული გამოცდილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის შინაარსის შესაბამისი მიმართულებით. მათ შორის, პროფესიულ გამოცდილებად გათვალისწინებულია შესაბამისი პედაგოგიური საქმიანობა და ტრენინგების განხორციელება.

„სასტუმრო მომსახურების“ პროგრამის ხელმძღვანელს აქვს უმაღლესი განათლება. აქვს პროფესიული განათლების სფეროში, მათ შორის „სასტუმრო მომსახურების “ პროგრამის ფარგლებში, პროფესიული განათლების მასწავლებლად მუშაობის მრავალწლიანი, მათ შორის , აკადემიასთან თანამშრომლობის გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობებს იგი ასრულებს პროგრამის განხორციელების ორივე მისამართზე - ვანსა და ბაღდათში და აქტიურად იყო ჩართული პროგრამის შემუშავების პროცესში.

პროგრამის ხელმძღვანელი იმავდროულად არის ძირითადი დარგობრივი პროფესიული მოდულების განმახორციელებელი. მისი პირადი საქმის, საკვალიფიკაციო დოკუმენტაციის, სამუშაო გამოცდილების შესწავლის, ასევე ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე დადასტურდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიმართულებით შესაბამისი პროფესიული და პედაგოგიური კომპეტენცია.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრული შესაბამისობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

აკადემიის შინაგანაწესის თანახმად, დაწესებულების ვალდებულებაა პროფესიული სტუდენტებისთვის უზრუნველყოს ხარისხიანი სასწავლო გარემო, ხოლო პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს თანაბარ პირობებში ისარგებლოს აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა რესურსებით.

აკადემიის „საბიბლიოთეკო რესურსების მართვისა და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“ არეგულირებს საგანმანათლებლო რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხებს და ადგენს დაწესებულების ვალდებულებას, უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტებისთვის პროგრამებსა და მოდულებში განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობა. დაწესებულებაში ფუნქციონირებს ელექტრონული საბიბლიოთეკო სისტემა „Open Biblio“, რომელშიც ასახულია ინფორმაცია აკადემიაში არსებული საგანმანათლებლო რესურსების შესახებ.

ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის ფარგლებში დაათვალიერა ბიბლიოთეკა და სასწავლო სივრცეები, ასევე შერჩევითი პრინციპით გადაამოწმა „სასტუმრო მომსახურება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამითა და შესაბამისი მოდულებით განსაზღვრული სასწავლო რესურსების არსებობა და ხელმისაწვდომობა. შეფასების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს პროგრამითა და მოდულებით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას მატერიალური ან/და ელექტრონული ფორმით, ხოლო არსებული რესურსები ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისა და პროგრამის განმახორციელებელი პირებისთვის სასწავლო პროცესში გამოყენების მიზნით.


დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრული შესაბამისობა.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად

დაწესებულებაში სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტების სასწავლო პროცესში ჩართულობისა და მხარდაჭერის მექანიზმები განსაზღვრულია რამდენიმე შიდა მარეგულირებელი აქტით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



აკადემიის „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მართვის დებულება“ ითვალისწინებს სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტებისთვის დაწესებულების ყველა სერვისის ხელმისაწვდომობას, მათ შორის, საჭიროებაზე მორგებული საგანმანათლებლო რესურსით უზრუნველყოფას, სპეციალისტის მოწვევას, სასწავლო პროცესში ინდივიდუალურ და ადმინისტრაციულ მხარდაჭერას. დებულების თანახმად, საჭიროების შესაბამისად შესაძლებელია საგანმანათლებლო რესურსის ელექტრონული ვერსიის მომზადება, შესაბამისი ზომის შრიფტით ამობეჭდვა, ასევე პროფესიული განათლების მასწავლებლის ჩართულობით რესურსის შინაარსობრივი ან ვიზუალური ადაპტირება.

ამავე დებულებით განსაზღვრულია, რომ სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის შემთხვევაში, საჭიროების საფუძველზე, დირექტორის მიერ შექმნილი კომისია, შესაბამისი სპეციალისტის მონაწილეობით, შეისწავლის პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალურ საჭიროებებს და შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიძლება ითვალისწინებდეს პროგრამის/მოდულის მოდიფიკაციას ან/და სწავლებისა და შეფასების მიდგომების აკომოდაციას და განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.

სსსმ/შშმ პირებისთვის სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობის საკითხი დამატებით რეგულირდება აკადემიის „საბიბლიოთეკო რესურსების მართვისა და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესით“. აღნიშნული წესი ითვალისწინებს სსსმ/შშმ პირისთვის პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო რესურსის მათ საჭიროებაზე მორგებული ფორმით ხელმისაწვდომობას, როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით, მათ შორის, შრიფტის ზომის შეცვლასა და საჭიროების შემთხვევაში რესურსის ვიზუალურ ან შინაარსობრივ ადაპტირებას.


დაწესებულების საშტატო პოზიციების სამუშაო აღწერილობებით სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ფუნქციებში განსაზღვრულია სსსმ და შშმ პირების სასწავლო პროცესში სრულფასოვანი ინტეგრირებისთვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა და შესაბამის პროცესებში ჩართულობა, რაც უზრუნველყოფს აღნიშნული მექანიზმების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირების არსებობას.

ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუებით დადგინდა, რომ დაწესებულებას დღემდე სსსმ პროფესიული სტუდენტი არ ჰყოლია, შესაბამისად, აღნიშნული მექანიზმების პრაქტიკაში გამოყენების შემთხვევა არ ყოფილა. მიუხედავად ამისა, წარმოდგენილი რეგულაციების ანალიზით დასტურდება, რომ დაწესებულებას განსაზღვრული აქვს სსსმ პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროების იდენტიფიცირების, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების, შესაბამისი სასწავლო რესურსების ადაპტირებისა და მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მექანიზმები, ასევე განსაზღვრულია პროცესში ჩართული პასუხისმგებელი პირები.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრული შესაბამისობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა

საპროგნოზო ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილი დაფუძნებულია ვაუჩერის ოდენობაზე. შემოსავლის პროგნოზი ეფუძნება ზღვრული რაოდენობისა და მინიმალური დასაშვები ჯგუფის ანალიზს, რაც უზრუნველყოფს პროგრამის ფინანსურ მდგრადობას.

საპროგნოზო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი მოიცავს პროგრამის სრულფასოვანი განხორციელებისთვის აუცილებელ ყველა პოზიციას, მათ შორის: პროფესიული განათლების მასწავლებლის ანაზღაურება; პროგრამის ხელმძღვანელის ანაზღაურება; პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად მასალა -ნედლეულის ხარჯი; პროფესიული განვითარებისთვის ხარჯი და სხვ. დაწესებულების გათვლით პროგრამა რენტაბელურია მინიმუმ 12 პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში, 25 პროფესიული სტუდენტით დაკომპლექტებულ ჯგუფზე.


დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შპს მსოფლიო განათლების აკადემიის შინაგანაწესი (2023 წლის 14 დეკემბრის №046 ბრძანება)
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების და გაუქმების წესი (2023 წლის 20 ნოემბრის №008 ბრძანება;
- სასტუმრო მომსახურების პროგრამის მატერიალური რესურსის შესყიდვის მტკიცებულებები;
- „შპს მსოფლიო განათლების აკადემიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელისა და პროფესიული განათლების მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და თანამდებობრივი ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ შპს მსოფლიო განათლების აკადემიის დირექტორის 2025 წლის 28 ოქტომბრის №01-01-025 ბრძანება (ცვლილებებით)
- ,,შპს მსოფლიო განათლების აკადემიის საშტატო პოზიციებისთვის გათვალისწინებული სამუშაო აღწერილობების დამტკიცების შესახებ“ შპს მსოფლიო განათლების აკადემიის დირექტორის 2025 წლის 14 ივლისის №1-01-018 ბრძანება (ცვლილებებით)
- პროგრამის განმახორციელებელთა, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
- პროგრამის განმახორციელებლებთან და პროგრამის ხელმძღვანელთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,სასტუმრო მომსახურება“;
- აკადემიის საბიბლიოთეკო რესურსების მართვისა და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი (ბრძანება - №019; 11.12. 2023);
- შპს ,,არეალი ინქ“- თან გაფორმებული 2026 წლის 06 თებერვლის მომსახურების ხელშეკრულება;
- პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი;
- დაწესებულებამ 2026 წლის 6 ოქტომბრის №00008965 კორესპონდენციით წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია თანდართული მტკიცებულებებით, მათ შორის, შესაბამისობის გეგმა;
- პროგრამის სასწავლო გარემოთა ვიზუალური დათვალიერება;
- პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუს შედეგი

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ **მეტწილად შეესაბამება**

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით


1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ***პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:




დაწესებულებაში ხარისხის მართვასა და უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელია დირექტორის მოადგილე ხარისხის მიმართულებით, რომლის უშუალო დაქვემდებარებაშია ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი. დირექტორის მოადგილის ფუნქციებში შედის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების შემუშავება და დანერგვა, ხარისხის მართვის სამოქმედო გეგმის შემუშავება, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასება და მონიტორინგი, დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული უკუკავშირის ანალიზი და შეფასების შედეგების საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავება. ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი მონაწილეობს აღნიშნული პროცესების დაგეგმვასა და განხორციელებაში, მათ შორის, მონაცემების შეგროვებასა და ანალიზში, პროგრამების შეფასებაში და პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების/პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლების გამოკითხვების ორგანიზებაში. ორგანიზაციის სტრუქტურით გათვალისწინებული ორთავე პირი თავის საქმიანობას ახორციელებს დაწესებულების ორთავე მისამართზე (ბაღდათი; ვანი).

აკადემიაში ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები რეგულირდება დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკითა და პროცედურებით“. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება „დაგეგმე–განახორციელე–შეაფასე–განავითარე“ (PDCA) ციკლს და ითვალისწინებს რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების შეგროვებას გამოკითხვის, ინტერვიუს, ფოკუს-ჯგუფისა და დაკვირვების მეთოდებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ერთ-ერთ მექანიზმად განსაზღვრულია დაინტერესებული მხარეების კმაყოფილების კვლევა; შიდა სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენენ პროფესიული სტუდენტები, პროფესიული განათლების მასწავლებლები/პროგრამის განმახორციელებელი პირები და ადმინისტრაციული პერსონალი, ხოლო გარე დაინტერესებულ მხარეებს წარმოადგენენ: კურსდამთავრებულები, პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლები, დამსაქმებლები, პროფესიული ასოციაციები და სხვა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების და გაუქმების წესით პროგრამის საჭიროებისა და განვითარების შეფასებისას გათვალისწინებულია ეროვნული და რეგიონული შრომის ბაზრის მოთხოვნები, რეგიონის განვითარების პერსპექტივები, დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირი, ადგილობრივი და ეროვნული შრომის ბაზრის კვლევები, საერთაშორისო შრომის ბაზრის მონაცემები, დასაქმების პლატფორმების ანალიზი და სხვა შესაბამისი ინფორმაცია. პროგრამის განვითარების პროცესში ასევე გათვალისწინებულია დარგში მიმდინარე ცვლილებების შესწავლა, პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების შედეგები და დაინტერესებული მხარეების გამოკითხვით მიღებული ინფორმაცია. აღნიშნული დადასტურებულია ,,სასტუმრო მომსახურების“ პროგრამის განაცხადით წარმოდგენილი პროგრამის დანერგვის მიზანშეწონილობის დასაბუთებითაც.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა ხარისხის მართვასა და უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირებს, გააანალიზა ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა და ნიმუშის სახით გაეცნო 2025 წლის ხარისხის უზრუნველყოფის ანგარიშს. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუს შედეგებით დასტურდება, რომ დაწესებულებაში დაწესებულებაში მოქმედი პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს როგორც შრომის ბაზრისა და დარგის განვითარების მოთხოვნებს, ასევე შიდა და გარე დაინტერესებული მხარეებისგან მიღებულ უკუკავშირსა და პროგრამის განვითარებისათვის რელევანტურ ადგილობრივ და საერთაშორისო მონაცემებს.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრული შესაბამისობა.

2.პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად


აკადემიის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების და გაუქმების წესი“ განსაზღვრავს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგების გამოყენებისა და პროგრამის განვითარების პროცედურას. კერძოდ, პროგრამის ცვლილების საფუძველი შეიძლება გახდეს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმებით მიღებული მონაცემები, პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასება, დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგები, დარგში მიმდინარე ცვლილებები და პროგრამის განხორციელების პროცესში გამოვლენილი სხვა გარემოებები. მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე ხდება გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება, რეკომენდაციების შემუშავება, ცვლილებების დაგეგმვა და მათი განხორციელება.

„ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკისა და პროცედურების“ თანახმად, ყველა კვლევის შედეგი აკუმულირდება ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან და საჭიროების შესაბამისად, თანამონაწილეობითი პრინციპით, მუშავდება განვითარების სამოქმედო გეგმა. ხარისხის უზრუნველყოფის ფარგლებში განხორციელებული შეფასებების, მიღებული შედეგებისა და რეაგირების შესახებ მზადდება შუალედური და წლიური ანგარიშები, ხოლო კვლევის შედეგებსა და რეკომენდაციებზე რეაგირება შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს ან პირს ეკისრება.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა გააანალიზა 2026 წლის ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა, ნიმუშის სახით გაეცნო 2025 წლის ანგარიშს და გაესაუბრა პროცესზე პასუხისმგებელ პირებს. წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ დაწესებულებაში ხარისხის შეფასების შედეგების ანალიზისა და მათზე რეაგირების პროცესი ხორციელდება შიდა რეგულაციებით განსაზღვრული მიდგომების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



იმის გათვალისწინებით, რომ „სასტუმრო მომსახურება“ პროგრამის განხორციელება ვანის მისამართზე ჯერ არ დაწყებულა, კონკრეტულად ამ პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგები და მათ საფუძველზე განხორციელებული ცვლილებების პრაქტიკა ამ ეტაპზე ვერ იარსებებდა. თუმცა დაწესებულებაში მოქმედი რეგულაციებით, წარმოდგენილი ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმითა და წინა პერიოდის ანგარიშით დასტურდება პროგრამების შეფასების შედეგების ანალიზისა და გამოვლენილ საჭიროებებზე რეაგირების მოქმედი მექანიზმი.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრული შესაბამისობა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების და გაუქმების წესის დამტკიცების შესახებ“ აკადემიის დირექტორის 2023 წლის 20 ნოემბრის N008 ბრძანება;
- ,,ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და პროცედურების დამტკიცების შესახებ“ აკადემიის დირექტორის 2023 წლის 13 დეკემბრის №034 ბრძანება;
- ,,შპს მსოფლიო განათლების აკადემიის საშტატო პოზიციებისთვის გათვალისწინებული სამუშაო აღწერილობების დამტკიცების შესახებ“ შპს მსოფლიო განათლების აკადემიის დირექტორის 2025 წლის 14 ივლისის №1-01-018 ბრძანება (ცვლილებებით)
- ხარისხის უზრუნველყოფის 2025 წლის გეგმა და ანგარიში;
- პასუხისმგებელ პირებთან ჩატარებული ინტერვიუ;

შეფასება:

☒ **შეესაბამება**


☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:


1.პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად

„სასტუმრო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში წარმოდგენილია სასწავლო გეგმა, რომელშიც განსაზღვრულია მოდულების განხორციელების თანმიმდევრობა, პროგრამის ხანგრძლივობა და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა. სასწავლო გეგმის ანალიზით დადგინდა, რომ მოდულების განაწილება და თანმიმდევრობა უზრუნველყოფს პროგრამის ეტაპობრივ და თანმიმდევრულ განხორციელებას. სასწავლო გეგმით გათვალისწინებულია, საჭიროების შემთხვევაში, ქართული ენის მოდულების განხორციელების შესაძლებლობა.

აკადემიის „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მართვის დებულებით“ დეტალურადაა განსაზღვრული სასწავლო პროცესის დაგეგმვის ეტაპები: პროგრამისა და სასწავლო ჯგუფების იდენტიფიცირება, შესაბამის ციკლში განსახორციელებელი მოდულების განსაზღვრა, სასწავლო კალენდრის, მასწავლებელთა დატვირთვის სქემისა და მეცადინეობის განრიგის შემუშავება, სწავლებისთვის საჭირო მასალა-ნედლეულის განსაზღვრა, კალენდარული გეგმების მომზადება და პროფესიულ სტუდენტებთან საორიენტაციო შეხვედრების ორგანიზება. სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებას ხელმძღვანელობს სასწავლო პროცესის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



მართვის სამსახური, რომელიც პროგრამის სასწავლო გეგმით ხელმძღვანელობს და უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას.

ვინაიდან „სასტუმრო მომსახურების“ პროგრამის განხორციელება ვანის მისამართზე ჯერ არ დაწყებულა, ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროგრამის სასწავლო გეგმის შესაბამისად ფაქტობრივი განხორციელების პრაქტიკა ვერ შეფასდებოდა. შესაბამისად, შეფასების საგანი იყო პროგრამის სასწავლო გეგმა, სასწავლო პროცესის დაგეგმვის მექანიზმები და პროგრამის განხორციელებისთვის შექმნილი ორგანიზაციული წინაპირობები. მათი ერთობლივი ანალიზით დადასტურდა, რომ დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პროგრამის სასწავლო გეგმის შესაბამისად განხორციელების შესაბამისი მექანიზმები.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრული შესაბამისობა.

1. **პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**


აკადემიის „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მართვის დებულებით“ განსაზღვრულია სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებებზე რეაგირების მექანიზმები. დებულების თანახმად, მეცადინეობის განრიგი შესაძლებელია შემუშავდეს ცვლაში სწავლების, მათ შორის „შეჭრილი“ განრიგის პრინციპით, სასწავლო გარემოს გამტარუნარიანობისა და პროგრამის მოთხოვნების გათვალისწინებით. განრიგს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობით შეიმუშავებს. ასევე განსაზღვრულია განრიგის ცვლილების პროცედურა იმ შემთხვევებისთვის, როდესაც სასწავლო პროცესი დაგეგმილი განრიგით ვერ ხორციელდება.

დებულება ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტებთან ინდივიდუალურ და ჯგუფურ შეხვედრებს, კონსულტაციებს პროგრამის ხელმძღვანელთან და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან, ინდივიდუალური მეცადინეობების ორგანიზებასა და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მოქნილ მექანიზმებს. პროფესიული სტუდენტის საჭიროების შესაბამისად შესაძლებელია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაც.

ვანის მისამართზე სასწავლო პროცესის ორგანიზაციული უზრუნველყოფისთვის დაწესებულებას შრომითი ხელშეკრულება გაფორმებული აქვს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის კოორდინატორთან. აღნიშნული პოზიციის ფუნქციებში განსაზღვრულია სასწავლო პროცესის დაგეგმვა, ორგანიზება და ეფექტური მართვა, პროფესიული სტუდენტების სასწავლო პროცესსა და პროგრამაზე ორიენტირება, ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებში მონაწილეობა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



და უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოს შექმნის პროცესში ჩართულობა. პროგრამას ასევე ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც ჩართულია სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებში.

ვიზიტის ფარგლებში პასუხისმგებელ პირებთან ჩატარებული ინტერვიუებით დადასტურდა მათი ინფორმირებულობა სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებებზე რეაგირების არსებული მექანიზმების შესახებ. ვინაიდან ვანის მისამართზე პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა პირველი მიღება იგეგმება, აღნიშნული მექანიზმების პრაქტიკული გამოყენება ამ პროგრამის ფარგლებში ჯერ არ განხორციელებულა.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრული შესაბამისობა.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას

„სასტუმროს მომსახურება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში განსაზღვრულია სწავლების შესაბამისი მეთოდები და მოდულების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსები. პროგრამის განხორციელებისთვის გათვალისწინებულია A, B და C ტიპის სასწავლო გარემოები.


ვიზიტის პერიოდში A და B სასწავლო გარემოები მოწყობილი და აღჭურვილი იყო შესაბამისი ტექნიკური საშუალებებით, მათ შორის სასწავლო მასალის ვიზუალიზაციისა და ინტერაქტიული სწავლებისათვის საჭირო ტექნოლოგიური რესურსით. გაფორმებულია მომსახურების ხელშეკრულება სასტუმრო პროგრამის სწავლებასთან დაკავშირებით.

პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ სწავლებისა და შეფასების მიმართულებით პროფესიული განვითარების გამოცდილება. წარმოდგენილი მასალებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიუების ანალიზით დადასტურდა, რომ პროგრამის განხორციელების დაგეგმვისას გათვალისწინებულია როგორც სწავლების თანამედროვე მიდგომები, ისე დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება.

ვინაიდან პროგრამის განხორციელება ვანის მისამართზე ჯერ არ დაწყებულა, ექსპერტთა ჯგუფს აღნიშნული მიდგომების კონკრეტულად ამ პროგრამის სასწავლო პროცესში გამოყენების პრაქტიკის შეფასების შესაძლებლობა არ ჰქონდა.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრული შესაბამისობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები

აკადემიის შიდა რეგულაციებით განსაზღვრულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების მრავალფეროვანი მექანიზმები. „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მართვის დებულების“ თანახმად, დაწესებულება ითვალისწინებს სხვადასხვა ასაკობრივი, სოციალური და სხვა ინდივიდუალური თავისებურებების მქონე პროფესიული სტუდენტების არსებობის შესაძლებლობას და უზრუნველყოფს ინდივიდუალურ შეხვედრებსა და კონსულტაციებს, პროგრამის ხელმძღვანელთან და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან კონსულტაციებს, ინდივიდუალურ მეცადინეობებსა და სხვა მხარდამჭერ ღონისძიებებს.

დებულებით ასევე გათვალისწინებულია პროგრამის კომპონენტის ინდივიდუალურ რეჟიმში გავლის შესაძლებლობა შესაბამის შემთხვევებში, ხოლო როდესაც პროფესიული სტუდენტის სწავლება სტანდარტული სასწავლო გეგმით შეუძლებელია, მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პროექტს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად და პროფესიული სტუდენტის მონაწილეობით შეიმუშავებს. სსსმ/შშმ პირის შემთხვევაში პროცესში შესაბამისი სპეციალისტიც ერთვება.

გარდა ამისა, „პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესი“ სათანადო დასაბუთების შემთხვევაში ითვალისწინებს შეფასების პროცესის აკომოდაციას — შეფასების ინსტრუმენტის ან სტანდარტული პროცედურის პროფესიული სტუდენტის საჭიროებაზე მორგებას ისე, რომ დაცული იყოს შეფასების სისტემისადმი დადგენილი მოთხოვნები.


ამდენად, დაწესებულებაში განსაზღვრულია როგორც სასწავლო პროცესის, ასევე შეფასების ეტაპზე პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების იდენტიფიცირებისა და მათზე რეაგირების შესაბამისი მექანიზმები. ვანის მისამართზე პროგრამის განხორციელების დაწყებამდე მათი პრაქტიკული გამოყენების შეფასება შეუძლებელია.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრული შესაბამისობა.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



არ არის გათვალისწინებული.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით

დაწესებულების შიდა რეგულაციებით გათვალისწინებულია სასწავლო პროცესის უსაფრთხოდ განხორციელების ორგანიზაციული მექანიზმები. პროფესიულ სტუდენტთა საორიენტაციო შეხვედრის ფარგლებში შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი და მედდა პროფესიულ სტუდენტებს აცნობენ სასწავლო/სამუშაო პროცესში უსაფრთხოების ნიშნებსა და მექანიზმებს და პირველადი გადაუდებელი დახმარების ღონისძიებებს. ამასთან, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის კოორდინატორის თანამდებობრივ ფუნქციებში განსაზღვრულია პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით უსაფრთხო სასწავლო და სამუშაო გარემოს შექმნაში მონაწილეობა.

დაწესებულებას პროგრამის ფარგლებში შემუშავებული აქვს უსაფრთხოების წესი, რომელიც ეხება სასტუმროს სიმულაციურ ნომერში სწავლებას - პრაქტიკული სწავლების სპეციფიკასთან დაკავშირებულ პოტენციურ საფრთხეებს, მათი პრევენციის მექანიზმებსა და უსაფრთხო მოქმედების ინსტრუქციებს.

ამდენად, წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ დაწესებულებას განსაზღვრული აქვს როგორც სასწავლო პროცესის უსაფრთხოდ განხორციელების ზოგადი ორგანიზაციული მექანიზმები, ისე „სასტუმრო მომსახურების“ პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით შემუშავებული უსაფრთხოების მოთხოვნები, რომლებიც მოიცავს პროგრამის პრაქტიკული სწავლებისას მოსალოდნელი ძირითადი რისკების იდენტიფიცირებასა და მათი პრევენციის შესაბამის ღონისძიებებს.


ინდიკატორი შეფასებულია როგორც „შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,სასტუმრო მომსახურება“;
- ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მართვის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიის დირექტორის 2023 წლის 13 დეკემბრის №035 ბრძანება (ცვლილებებით);
- ,,შპს მსოფლიო განათლების აკადემიის საშტატო პოზიციებისთვის გათვალისწინებული სამუშაო აღწერილობების დამტკიცების შესახებ“ შპს მსოფლიო განათლების აკადემიის დირექტორის 2025 წლის 14 ივლისის №1-01-018 ბრძანება (ცვლილებებით)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



- „პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესის დამტკიცების შესახებ “ აკადემიის დირექტორის 2023 წლის 13 დეკემბრის №033 ბრძანება (ცვლილებებით)
- სასტუმრო მომსახურების ლაბორატორიაში უსაფრთხოდ მუშაობის წესი (2026 წლის 22 სექტემბრის № 1-01 – 025 ბრძანება);
- ვიზუალური დათვალიერება;
- პასუხისმგებელ პირებთან ჩატარებული ინტერვიუ.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური**


აკადემიის დირექტორის 2023 წლის 13 დეკემბრის №033 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესი“ განსაზღვრავს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემას და ადგენს, რომ შეფასება უნდა იყოს **ვალიდური, სანდო, სამართლიანი, გამჭვირვალე და ობიექტური**.

შეფასების წესით განსაზღვრულია კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასების მიმართულებები: პრაქტიკული დავალება დაკვირვებით, პრაქტიკული დავალება და გამოკითხვა, რაც იძლევა როგორც პროფესიული პრაქტიკული უნარების, ისე თეორიული ცოდნის შეფასების შესაძლებლობას. შეფასებისთვის დასაშვებია მხოლოდ ვალიდური შეფასების ინსტრუმენტის გამოყენება.

შეფასების ინსტრუმენტის ხარისხის უზრუნველყოფის ძირითადი მექანიზმია **ვალიდაცია**. ყველა შეფასების ინსტრუმენტი სავალდებულოდ ექვემდებარება ვალიდაციას, რომლის დროსაც მოწმდება ინსტრუმენტის შესაბამისობა შეფასების მიმართულებასა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



შესაფასებელ სწავლის შედეგთან, აგრეთვე შეფასების სამართლიანობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა. ვალიდაციას ახორციელებს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური პროგრამის ხელმძღვანელთან/თანახელმძღვანელთან ან/და დარგის სპეციალისტთან ერთად.


შეფასების სანდოობისა და ობიექტურობის უზრუნველსაყოფად წესით განსაზღვრულია შეფასების მტკიცებულებების მიმართ მოთხოვნები: მტკიცებულება უნდა იყოს ვალიდური, ავთენტური, საკმარისი და ტრანსფერული. გამჭვირვალობისა და სამართლიანობის უზრუნველსაყოფად განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის შეფასების შედეგების შესახებ ინფორმირების, შესრულებულ სამუშაოზე უკუკავშირის მიწოდებისა და შეფასების გასაჩივრების პროცედურები. პროფესიულ სტუდენტს შეფასების შედეგი ეცნობება განსაზღვრულ ვადაში და ინდივიდუალურად; შეფასების ან შეფასების პროცესის არასამართლიანად მიჩნევის შემთხვევაში მას აქვს აპელაციის უფლება. შეთანხმების მიუღწევლობისას იქმნება სააპელაციო კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიან შესაბამისი დარგის პირები, რომლებიც სადავო შეფასების პროცესში არ მონაწილეობდნენ, რაც დამატებით უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიუკერძოებლად განხილვის შესაძლებლობას.

აღნიშნული მექანიზმების განხორციელებასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობები განსაზღვრულია თანამშრომელთა თანამდებობრივ ინსტრუქციებშიც. სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ფუნქციებში შედის შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და ვალიდაციის კოორდინირება, განმეორებითი შეფასებების ორგანიზება, ასევე შეფასების უწყისებისა და მტკიცებულებების აღრიცხვისა და შენახვის უზრუნველყოფა. სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის კოორდინატორის ფუნქციებში კი განსაზღვრულია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების პროცესის ადმინისტრირება, შეფასებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის აღრიცხვა/შენახვა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და ვალიდაციის პროცესის მხარდაჭერა. პროგრამის ხელმძღვანელის მონაწილეობა შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესში უშუალოდ შეფასების წესითაც არის გათვალისწინებული.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა სასწავლო პროცესის მართვაზე პასუხისმგებელ პირებსა და პროგრამის ხელმძღვანელს. ინტერვიუებით დადასტურდა მათი ინფორმირებულობა შეფასების ორგანიზების, შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების უფლებების დაცვის მექანიზმების შესახებ.

ვინაიდან „სასტუმრო მომსახურების“ პროგრამის განხორციელება ვანის მისამართზე პირველად იგეგმება, კონკრეტულად აღნიშნულ პროგრამაზე შეფასების სისტემის პრაქტიკული გამოყენებისა და შედეგების შეფასება ამ ეტაპზე შეუძლებელია. თუმცა წარმოდგენილი რეგულაციების, პასუხისმგებლობების განაწილებისა და ინტერვიუების შედეგების ერთობლივი ანალიზით დასტურდება, რომ დაწესებულებას განსაზღვრული აქვს შეფასების ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის უზრუნველყოფის ურთიერთდაკავშირებული მექანიზმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრული შესაბამისობა.

2. სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს

აკადემიის „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკითა და პროცედურებით“ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაცია განსაზღვრულია ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმად, რომლის მიზანია დაწესებულებაში მოქმედი შეფასების სისტემის შესაბამისობის დადგენა განსაზღვრულ მოთხოვნებთან. ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელია ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, ხოლო საჭიროების შესაბამისად პროცესში ერთვებიან პროგრამის განმახორციელებლები, დარგის სპეციალისტები და სხვა პირები.


დაწესებულებაში ერთმანეთისგან გამიჯნულია **შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია და შეფასების სისტემის ვერიფიკაცია**. ვალიდაცია წინ უსწრებს ინსტრუმენტის გამოყენებას და ადგენს კონკრეტული შეფასების ინსტრუმენტის შესაბამისობას სწავლის შედეგთან, ხოლო ვერიფიკაცია უფრო ფართო ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმია და მოიცავს არა მხოლოდ ინსტრუმენტის, არამედ შეფასების პროცესისა და მიღებული მტკიცებულებების შეფასებას.

ვერიფიკაცია მოიცავს **შეფასებისწინა, მიმდინარე და შეფასების შემდგომ ეტაპებს**. შეფასებისწინა ეტაპზე ხდება ინსტრუმენტებისა და მასალების განხილვა მათ გამოყენებამდე და სწავლის შედეგებთან მათი შესაბამისობის შემოწმება; მიმდინარე ეტაპზე — შეფასების პროცესის სამართლიანობისა და თანმიმდევრულობის მონიტორინგი; ხოლო შეფასების შემდგომ ეტაპზე — შეფასების შედეგებისა და უკუკავშირის განხილვა და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირება. ამდენად, ვერიფიკაციის მექანიზმი საშუალებას იძლევა შეფასების ხარისხი შემოწმდეს არა ერთ კონკრეტულ ეტაპზე, არამედ შეფასების სრული ციკლის ფარგლებში.

ვერიფიკაციის ობიექტურობის უზრუნველსაყოფად დადგენილია მოთხოვნები თავად ვერიფიკატორების მიმართაც. კერძოდ, გათვალისწინებულია **დამოუკიდებლობის, კომპეტენტურობისა და ობიექტურობის პრინციპები**. კერძოდ, შიდა ვერიფიკატორს არ შეუძლია გადაამოწმოს ის ინსტრუმენტი ან შეფასება, რომლის შექმნაში, ვალიდაციასა ან მასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებაში თავად მონაწილეობდა. აღნიშნული მოთხოვნა ამცირებს ინტერესთა კონფლიქტის რისკს და ქმნის შეფასების სისტემის დამოუკიდებელი გადამოწმების საფუძველს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ვერიფიკაციის პროცედურა ასევე განსაზღვრავს შესამოწმებელი შეფასებებისა და პროფესიულ სტუდენტთა ნამუშევრების შერჩევის სხვადასხვა მეთოდს: შემთხვევით, კატეგორიზირებულ, მიზანმიმართულ და სისტემურ შერჩევას. შერჩევისას გათვალისწინებულია რისკ-ფაქტორებიც, მათ შორის ახალი პროგრამა, ახალი ან ნაკლებად გამოცდილი შემფასებელი, კომპლექსური შეფასება და სხვა საყურადღებო გარემოებები. შიდა ვერიფიკაცია გათვალისწინებულია წელიწადში ერთხელ.

მექანიზმი არ შემოიფარგლება შეუსაბამობის გამოვლენით. ვერიფიკაციის შედეგების საფუძველზე გათვალისწინებულია შემფასებლებისა და პროფესიული სტუდენტებისთვის უკუკავშირის მიწოდება, გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირება, კონკრეტული ქმედებების დაგეგმვა და შემდგომი პროგრესის კონტროლი. შესაბამისად, ვერიფიკაციის შედეგები გამოყენებადია შეფასების პრაქტიკისა და პროფესიულ სტუდენტთა სწავლის გაუმჯობესებისთვის.

თანამშრომელთა ფუნქციების ანალიზიც აჩვენებს შეფასების სისტემაში პასუხისმგებლობების განაწილებას: სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი კოორდინაციას უწევს შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებასა და ვალიდაციას, განმეორებითი შეფასებების ორგანიზებას და შეფასების მტკიცებულებების აღრიცხვასა და შენახვას; ხოლო სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის კოორდინატორი ახორციელებს შეფასების პროცესის ადმინისტრირებას, შესაბამისი დოკუმენტაციის აღრიცხვა-შენახვას და ხელს უწყობს შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესს. ვერიფიკაციის ზედამხედველობა კი ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულების პასუხისმგებლობაში რჩება, რაც შეფასების განხორციელებისა და მისი ხარისხის შემდგომი კონტროლის ფუნქციების გამიჯვნას უზრუნველყოფს.


ვინაიდან „სასტუმრო მომსახურების“ პროგრამა ვანის მისამართზე პირველად განხორციელდება, კონკრეტულად ამ პროგრამაზე ვერიფიკაციის შედეგები ჯერ არ არსებობს. თუმცა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი რეგულაციებით განსაზღვრულია ვერიფიკაციის მიზანი, ობიექტები, ეტაპები, პასუხისმგებელი და მონაწილე პირები, დამოუკიდებლობის მოთხოვნები, შერჩევის მეთოდები, შედეგების დოკუმენტირებისა და შემდგომი რეაგირების მექანიზმები. შესაბამისად, შეფასების სისტემა უზრუნველყოფილია სისტემურად ჩამოყალიბებული ვერიფიკაციის მექანიზმით.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრული შესაბამისობა.

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



„პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესით“ განსაზღვრულია შეფასების მტკიცებულებების აღრიცხვისა და შენახვის მექანიზმი. წესის თანახმად, შეფასების მტკიცებულებები ინახება შეფასების უწყისის გაფორმებიდან **3 წლის ვადით**.

შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები აღირიცხება ელექტრონულად წარმოებულ მტკიცებულებების აღრიცხვის ჟურნალში. ჟურნალის წარმოებაზე პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის მართვის სამსახური და მასში აისახება პროგრამის, მოდულის, პროფესიული სტუდენტის, შემფასებლისა და მტკიცებულების იდენტიფიცირებისთვის საჭირო ინფორმაცია. წესით ასევე განსაზღვრულია მტკიცებულებების მატერიალური და ელექტრონული ფორმით შენახვის პირობები და მათი მიკვლევადობის უზრუნველყოფის მექანიზმი.

ვინაიდან ვანის მისამართზე პროგრამის განხორციელება ჯერ არ დაწყებულა და შეფასების მტკიცებულებები ამ პროგრამის ფარგლებში ჯერ არ შექმნილა, ექსპერტთა ჯგუფის მიერ ამ პროგრამაზე მტკიცებულებების შენახვის პრაქტიკული შესრულება ვერ შეფასდებოდა. რეგულაციების ანალიზით დასტურდება შესაბამისი აღრიცხვისა და შენახვის მექანიზმის არსებობა.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრული შესაბამისობა


4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის

აკადემიის „პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესი“ ადგენს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების მონიტორინგისა და გამოყენების მექანიზმს. წესის თანახმად, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები ექვემდებარება მონიტორინგს - სასწავლო წლის დასრულებისას გაანალიზდება პირველ მცდელობაზე დადასტურებული სწავლის შედეგები, განმეორებითი შეფასებების რაოდენობა, პროგრამის დასრულებისა და განთესვის მაჩვენებლები და სხვა მონაცემები.

რეგულაციით პირდაპირაა განსაზღვრული, რომ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოიყენება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისთვის. ანალიზის შედეგების საფუძველზე შესაძლებელია მოდულების თანმიმდევრობის, სწავლების მეთოდების, შეფასების ინსტრუმენტებისა და საგანმანათლებლო რესურსების გადახედვა. შეფასების შედეგების ანალიზს ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, შედეგები წარედგინება დირექტორს და გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად იგეგმება შემდგომი ღონისძიებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ვინაიდან „სასტუმრო მომსახურების“ პროგრამის განხორციელება ვანის მისამართზე პირველად იგეგმება, კონკრეტულად ამ პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები ჯერ არ არსებობს და, შესაბამისად, მათი გამოყენების პრაქტიკის შეფასება შეუძლებელია. წარმოდგენილი რეგულაციები კი განსაზღვრავს შეფასების შედეგების ანალიზისა და მათი პროფესიულ სტუდენტთა და პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის გამოყენების შესაბამის მექანიზმს.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრული შესაბამისობა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შპს „მსოფლიო განათლების აკადემიის“ 2023 წლის 13 დეკემბრის №033 ბრძანების დანართით დამტკიცებული „პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესი“;
- ,,ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და პროცედურების დამტკიცების შესახებ“ აკადემიის დირექტორის 2023 წლის 13 დეკემბრის №034 ბრძანება;
- ინტერვიურება;

შეფასება:

☒ **შეესაბამება**


☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:




ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მე-4 სტანდარტის 4.1 და მე-5 სტანდარტის 5.1 ; 5.2 კომპონენტებთან მიმართებით

ავტორიზაციის მე-4 სტანდარტის 4.1; მეხუთე სტანდარტის 51. და 5.2 კომპონენტების შეფასების მიზნით, ვიზიტის პროცესში გამოთხოვილი და შესწავლილი იქნა დაწესებულების საქმიანობის ამსახველი მტკიცებულებები. დათვალიერებული იქნა დაწესებულების მატერიალურ - ტექნიკური ბაზა. ჩატარდა ინტერვიუები.

ადმინისტრაციული წარმოების პროცესი წარიმართა თანამშრომლობითი ფორმატში. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მე-5 სტანდარტის 5.1 . კომპონენტთან მიმართებით გამოვლენილია ხარვეზი. დაწესებულება დაეთანხმა ხარვეზს და აქვთ მზაობა დასკვნის პროექტის მიწოდების შემდეგ, წარმოადგინოს არგუმენტირებული პოზიცია, თანდართული შესაბამისობის გეგმით.


ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:




სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
4) ადამიანური რესურსები	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5.2) საინფორმაციო რესურსები	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

5.1.1. (4) შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით

ვიზიტის პერიოდში აკადემიის შენობაში არ იყო დამონტაჟებული გათბობის სისტემა.

გაცემულია შესაბამისობის რეკომენდაცია - შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით, დაწესებულებამ უზრუნველყოს შენობა-ნაგებობა ცენტრალური გათბობის სისტემით.
(დეტალური აღწერა - იხილეთ ინდიკატორის შეფასება).

5.1.2 (1) დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები
ვიზიტის პერიოდში დაწესებულებას არ ჰქონდა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ გაცემული დასკვნა ან მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით.
გაცემულია შესაბამისობის რეკომენდაცია - შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით, დაწესებულებამ უზრუნველყოს აკადემიის მისამართზე- ქ. ვანი ჭავჭავაძის ქ. N 22, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან და სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მოპოვება.
(დეტალური აღწერა- იხილეთ ინდიკატორის შეფასება).


5.1.2 (4) დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

ვიზიტის პერიოდში აკადემიაში არ იყო დამონტაჟებული ვიდეოსათვალთვალო სისტემა.

გაცემულია შესაბამისობის რეკომენდაცია - შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით, დაწესებულებამ უზრუნველყოს აკადემიის მისამართზე- ქ. ვანი ჭავჭავაძის ქ. N 22, ვიდეოსათვალთვალო სისტემის მონტაჟი.
(დეტალური აღწერა- იხილეთ ინდიკატორის შეფასება).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება/არ გაზიარების თაობაზე

5.1.1. (4) შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით

ვანის მისამართზე შენობის ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ ცენტრალური გათბობის სისტემა დამონტაჟებული არ იყო. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია საგადასახადო ანგარიშფაქტურა, რომელშიც მითითებულია „გათბობის სისტემების დამონტაჟების“ მომსახურება. თუმცა, ამ დოკუმენტის არსებობის მიუხედავად, ვიზიტის დროს შენობაში დამონტაჟებული ცენტრალური გათბობის სისტემა არ გამოვლენილა.


შესაბამისად, ვიზიტის დროისთვის ინდიკატორის მოთხოვნასთან შესაბამისობა არ დადასტურდა.

დაწესებულებამ 2026 წლის 6 ოქტომბრის №00008965 კორესპონდენციით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომლის თანახმად შენობაში დასრულებულია ცენტრალური გათბობის სისტემის მონტაჟი. მტკიცებულებებად წარმოდგენილია 3 ფოტო, გათბობის სისტემის დამონტაჟების საგადასახადო ანგარიშფაქტურა (2026 წლის 20 სექტემბრის) და მოთხოვნილია 5.1.1 (4) ინდიკატორის სრულ შესაბამისად შეფასება.

ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა დაწესებულების პოზიცია და თანდართული მასალები. დადგინდა, რომ დაწესებულება დაეთანხმა დასკვნის პროექტში ასახულ ფაქტობრივ გარემოებას, რომ ექსპერტთა ვიზიტის დროს შენობაში გათბობის სისტემა არ იყო დამონტაჟებული. ავტორიზაციის დებულების 51-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნის პროექტი მზადდება განაცხადის, თანდართული დოკუმენტაციისა და ვიზიტის შედეგების საფუძველზე. ამავე მუხლის მე - 6 და მე - 7 პუნქტები ითვალისწინებს პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებზე დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის განხილვას საბოლოო დასკვნის მომზადებისას. წარმოდგენილი ფოტოები ასახავს ვიზიტის შემდგომ განხორციელებულ აქტივობებს. თუმცა მხოლოდ აღნიშნული მასალით ვერ დასტურდება შენობის ცენტრალური გათბობის სისტემით სრულად უზრუნველყოფა და სისტემის სამუშაო რეჟიმში ფუნქციონირება. ამასთან, წარმოდგენილი მასალა არ ცვლის ვიზიტისას დადგენილ ფაქტს, რომლის საფუძველზეც, დებულების თანახმად, მზადდება დასკვნა. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება დაწესებულების მოთხოვნას ზემოაღნიშნული ინდიკატორის სრულ შესაბამისობაში შეფასების შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ამასთან, ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა, დაწესებულების მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილი 5.1 კომპონენტთან (მე-4 ინდიკატორი) შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. გეგმით განსაზღვრულია რომ შენობის ცენტრალური გათბობით სრულად უზრუნველყოფა დასრულდება 2026 წლის 25 ოქტომბრისთვის. ვადასთან ერთად განსაზღვრულია პასუხისმგებელი და შემსრულებელი პირები.

ავტორიზაციის დებულების მე-40 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფი 5.1.1. (4) ინდიკატორს აფასებს როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

5.1.2. (1) დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები ვიზიტის პერიოდში არ იყო წარმოდგენილი დასკვნა შენობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.

დაწესებულებამ 2026 წლის 6 ოქტომბრის №00008965 წერილით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში აკადემიის მიერ 2026 წლის 05 ოქტომბერს გაგზავნილი № 00008948 კორესპონდენცია, რომლითაც ითხოვს შპს მსოფლიო განათლების აკადემიის (ქ. ვანი ჭავჭავაძის ქ. N 22) შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენას. შესაბამისობის გეგმის თანახმად პროცედურის დასრულების თარიღად მითითებულია 2026 წლის 25 ნოემბერი.


დაწესებულებამ გაითვალისწინა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა და ინდიკატორი შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

5.1.2 (4) დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას

ვიზიტის პერიოდში დაწესებულებაში არ იყო დამონტაჟებული ვიდეომეთვალყურეობის სისტემა. აკადემიამ წარმოადგინა სასაქონლო ზედნადები, რომელიც ადასტურებს 16 შიდა და 6 გარე ვიდეოკამერის, ვიდეორეგისტრატორის და ჩანაწერების შესანახი მოწყობილობის შეძენას. თუმცა ვიზიტისას შიდა და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობისა და ჩანაწერების შენახვის მოქმედი სისტემის არსებობა არ დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



დაწესებულებამ 2026 წლის 6 ოქტომბრის №00008965 კორესპონდენციით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომლის მიხედვით აკადემია ითხოვს ინდიკატორის სრულ შესაბამისად შესაბამისად შეფასებას, ვინაიდან შენობაში უკვე სრულად არის დამონტაჟებული ვიდეოსათვალთვალო სისტემა. მტკიცებულებებად წარმოდგენილია ფოტო მასალა.

ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა არგუმენტირებული პოზიცია და თანდართული მასალები. დადგინდა, რომ დაწესებულება დაეთანხმა დასკვნის პროექტში ასახულ ფაქტობრივ გარემოებას, რომ ექსპერტთა ვიზიტის დროს შენობაში ვიდეოსათვალთვალო სისტემა არ იყო დამონტაჟებული. ავტორიზაციის დებულების 51-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნის პროექტი მზადდება განაცხადის, თანდართული დოკუმენტაციისა და ვიზიტის შედეგების საფუძველზე. ამავე მუხლის მე - 6 და მე - 7 პუნქტები ითვალისწინებს პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებზე დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის განხილვას საბოლოო დასკვნის მომზადებისას. წარმოდგენილი ფოტოები ასახავს ვიზიტის შემდგომ განხორციელებულ აქტივობებს. თუმცა მხოლოდ აღნიშნული მასალით ვერ დასტურდება შენობის ვიდეო სათვალთვალო სისტემით სრულად უზრუნველყოფა და სისტემის სამუშაო რეჟიმში ფუნქციონირება. ამასთან, წარმოდგენილი მასალა არ ცვლის ვიზიტისას დადგენილ ფაქტს, რომლის საფუძველზეც, დებულების თანახმად, მზადდება დასკვნა. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება დაწესებულების მოთხოვნას 5.1 კომპონენტის სრულ შესაბამისობაში შეფასების შესახებ.


ამასთან, ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა, დაწესებულების მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილი 5.1 კომპონენტთან (მე-2 კრიტერიუმის მე-4 ინდიკატორი) შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. გეგმით განსაზღვრულია, რომ ვიდეოსათვალთვალო სისტემის მონტაჟი დასრულდება 2026 წლის 25 ოქტომბრისთვის. ვადასთან ერთად განსაზღვრულია პასუხისმგებელი და შემსრულებელი პირები.

ავტორიზაციის დებულების მე-40 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფი 5.1.2. (4) ინდიკატორს აფასებს როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

შესაბამისად, 5.1 კომპონენტი შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



სტანდარტების აღწერა და შეფასება

4.ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.


კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული

შპს „მსოფლიო განათლების აკადემიის“ ორგანიზაციული მოწყობა და დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები განსაზღვრულია აკადემიის წესდებით, დებულებით, პერსონალის მართვის მექანიზმებით, ორგანიზაციული სტრუქტურითა და შესაბამისი პოზიციებისთვის დამტკიცებული სამუშაო აღწერილობებით.
აკადემიის წესდების თანახმად, დაწესებულების მართვის ორგანოებია პარტნიორთა საერთო კრება და დირექტორი. წესდებით განსაზღვრულია აღნიშნული მართვის სუბიექტების უფლებამოსილებები და გადაწყვეტილების მიღების ფარგლები. აკადემიის დებულების თანახმად, ორგანიზაციული სტრუქტურა მოიცავს მართვის ორგანოებს, ადმინისტრაციულ და დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებსა და პასუხისმგებელ პირებს. დირექტორს ჰყავს ორი მოადგილე: დირექტორის მოადგილე ხარისხის მიმართულებით და დირექტორის მოადგილე სასწავლო-საკომუნიკაციო მიმართულებით. აკადემიის სტრუქტურული ერთეულები და პასუხისმგებელი პირებია: საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახური; სასწავლო პროცესის მართვის სამსახური; საზოგადოებასთან ურთიერთობის, სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების სამსახური; ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის სამსახური; ბიბლიოთეკა; ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი; ინფორმაციული ტექნოლოგიების კოორდინატორი; პირველად გადაუდებელ დახმარებაზე პასუხისმგებელი პირი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



დებულებით ასევე განსაზღვრულია სტრუქტურული ერთეულებისა და პერსონალის დაქვემდებარებისა და ანგარიშვალდებულების ზოგადი წესი. ორგანიზაციული სტრუქტურა ასახავს მართვის ორგანოებს, დირექტორის მოადგილეებს, სტრუქტურულ ერთეულებსა და პასუხისმგებელ პირებს შორის დაქვემდებარების კავშირებს.
აკადემიაში მოქმედი თითოეული საშტატო პოზიციისთვის დამტკიცებულია სამუშაო აღწერილობა, რომელშიც მოცემულია პოზიციის დასახელება, სტრუქტურული კუთვნილება, უშუალო ხელმძღვანელი, ანგარიშვალდებულება, ძირითადი ფუნქცია-მოვალეობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები, შესაბამისი კომპეტენციები და თანამშრომლის არყოფნის შემთხვევაში მისი მოვალეობის შესრულების წესი. შესაბამისად, სამუშაო აღწერილობები იძლევა თითოეული სტრუქტურული ერთეულისა და პასუხისმგებელი პირის საქმიანობის ფარგლების მკაფიოდ იდენტიფიცირების შესაძლებლობას.
ვანის მისამართზე საქმიანობის დაწყების მიზნით დაწესებულებამ დაიმატა ადამიანური რესურსი. კერძოდ, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის კოორდინატორი, ბიბლიოთეკარი, საქმისწარმოების კოორდინატორი, პირველად გადაუდებელ დახმარებაზე პასუხისმგებელი პირი, დასუფთავების სპეციალისტები. აღნიშნულ პირებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში სამუშაო ადგილად განსაზღვრულია ქალაქი ვანი. მათზე ვრცელდება შესაბამისი პოზიციებისთვის დამტკიცებული სამუშაო აღწერილობები. რაც შეეხება სხვა ადმინისტრაციულ პერსონალს, მათი უმრავლესობა საქმიანობას წარმართავს აკადემიის ორთავე მისამართის ფარგლებში, რაც ასახულია მათ ხელშეკრულებებში.


პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუებით დადასტურდა, რომ დასაქმებული პირები ინფორმირებულნი არიან საკუთარი ფუნქცია-მოვალეობების, უფლებამოსილების ფარგლების, ორგანიზაციული დაქვემდებარებისა და ანგარიშვალდებულების შესახებ. ინტერვიუს დროს თანამშრომლების მიერ აღწერილი ფუნქციები შესაბამისობაში იყო დაწესებულების მარეგულირებელ დოკუმენტებსა და სამუშაო აღწერილობებში მოცემულ ფუნქციებთან.
წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების შედეგების ერთობლივი ანალიზით დადგინდა, რომ დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულებისა და პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული.
დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრული შესაბამისობა.

2.პსდ-ის სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ის ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურის, დებულების, საშტატო განრიგის, სამუშაო აღწერილობებისა და პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუების ანალიზით დადგინდა, რომ ფუნქციები და პასუხისმგებლობები განაწილებულია ძირითადი და დამხმარე პროცესების გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



პარტნიორთა საერთო კრება და დირექტორი ახორციელებენ მათ კომპეტენციას მიკუთვნებულ მმართველობით ფუნქციებს, ხოლო დირექტორის მოადგილეები ხელმძღვანელობენ შესაბამის მიმართულებებს და კოორდინაციას უწევენ მათდამი დაქვემდებარებულ ერთეულებს. სასწავლო პროცესის მართვას, პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერას, საქმისწარმოებასა და ადამიანური რესურსების მართვას, საბიბლიოთეკო მომსახურებას, ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვას, ინფორმაციული ტექნოლოგიების ფუნქციონირებასა და პირველად გადაუდებელ დახმარებას უზრუნველყოფენ შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები და პასუხისმგებელი პირები.

საშტატო განრიგი ითვალისწინებს ბაღდათისა და ვანის მისამართებზე საქმიანობის საჭიროებებს. ვანის მისამართზე დამატებით განსაზღვრულია სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის კოორდინატორი, ბიბლიოთეკარი, საქმისწარმოების კოორდინატორი, პირველად გადაუდებელ დახმარებაზე პასუხისმგებელი პირი, დასუფთავების სპეციალისტები. სხვა ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი შესაბამის ფუნქციებს ორივე მისამართზე განახორციელებს. ამგვარი განაწილება უზრუნველყოფს ვანის მისამართზე ყოველდღიურად საჭირო მომსახურებების ადგილზე ხელმისაწვდომობას და ცენტრალიზებული მმართველობითი და დამხმარე ფუნქციების ორივე მისამართისთვის გამოყენებას.


ცალკეული დამხმარე ფუნქციები აუთსორსინგზეა გატანილი. ვანის მისამართზე წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვა უზრუნველყოფილია ობიექტის დაცვითი ტექნიკური საშუალებებით მომსახურების, ცენტრალიზებულ პულტზე მონიტორინგისა და შესაბამის სიგნალზე რეაგირების შესახებ ხელშეკრულებით. პერსონალურ მონაცემთა დაცვა და შრომის უსაფრთხოებაც ორივე მისამართზე მომსახურების ხელშეკრულებების საფუძველზე ხორციელდება.

ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუებით დადასტურდა, რომ თანამშრომლები ინფორმირებულნი არიან საკუთარ ფუნქციებსა და სტრუქტურულ ერთეულებს შორის კოორდინაციის ფორმებზე. არ გამოვლენილა ფუნქციების არსებითი დუბლირება ან ისეთი საქმიანობა, რომელზეც შესაბამისი ერთეული ან პასუხისმგებელი პირი განსაზღვრული არ არის.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ადგილზე არსებული მდგომარეობისა და ინტერვიუების შედეგების ერთობლივი ანალიზით დადგინდა, რომ ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ითვალისწინებს დაწესებულების ორივე მისამართზე საქმიანობის საჭიროებებს და ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელებას.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრული შესაბამისობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს

აკადემიის ახალი ორგანიზაციული მოწყობის ფარგლებში ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებას ხელმძღვანელობს დირექტორის მოადგილე ხარისხის მიმართულებით, რომლის დაქვემდებარებაშია ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი. ორივე პირი საკუთარ ფუნქციებს განახორციელებს დაწესებულების როგორც ბაღდათის, ისე ვანის მისამართზე.

მათი ფუნქციები მოიცავს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების დაგეგმვასა და კოორდინაციას, ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის მონიტორინგსა და შეფასებას, მონაცემების შეგროვებასა და ანალიზს, კვლევების ჩატარებას, ანგარიშებისა და გაუმჯობესების რეკომენდაციების მომზადებას. აღნიშნული ფუნქციები გამიჯნულია სასწავლო, ადმინისტრაციული და დამხმარე პროცესების უშუალო განხორციელებისგან.

სტრატეგიული და 2026 წლის სამოქმედო გეგმების ანალიზით დადგინდა, რომ ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირების ჩართულობა დაკავშირებულია პროცესების მონიტორინგთან, შეფასებასა და მეთოდოლოგიურ მხარდაჭერასთან და არა იმ საქმიანობის უშუალო შესრულებასთან, რომელსაც შემდგომ თავად აფასებენ. ამასთან, ვერიფიკაციის მოქმედი წესით პირს ეკრძალება იმ შეფასების ინსტრუმენტის შემოწმება, რომლის შექმნაში, შემუშავებასა ან მასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებაში თავად მონაწილეობდა.

პასუხისმგებელ პირებთან ჩატარებული ინტერვიუებით დადასტურდა, რომ დაწესებულებაში გამიჯნულია პროცესის განხორციელებისა და მისი შემდგომი შეფასების ფუნქციები. შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირების ფუნქციები ინტერესთა კონფლიქტს არ წარმოშობს.


დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრული შესაბამისობა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შპს მსოფლიო განათლების აკადემიის წესდება (პარტნიორთა საერთო კრების ოქმი №1; 19.10. 2023)
- შპს მსოფლიო განათლების აკადემიის დებულება (ბრძ. №01-01-015; 27. 06. 025);
- შპს მსოფლიო განათლების აკადემიის პერსონალის მართვის მექანიზმები (№006; 06.11.2023)
- შპს მსოფლიო განათლების აკადემიის ორგანიზაციული სტრუქტურა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



- ,,შპს მსოფლიო განათლების აკადემიის საშტატო პოზიციებისთვის გათვალისწინებული სამუშაო აღწერილობების დამტკიცების შესახებ“ შპს მსოფლიო განათლების აკადემიის დირექტორის 2025 წლის 14 ივლისის №1-01-018 ბრძანება (ცვლილებებით)
- აკადემიის საშტატო განრიგი;
- შპს ,,დეტექტორთან“ გაფორმებული 2026 წლის 11 აგვისტოს მომსახურების ხელშეკრულება; (წესრიგის დაცვა);
- შპს ,,ჯეო სეიფთი“ - 2026 წლის 11 აგვისტოს მომსახურების ხელშეკრულება;(შრომის უსაფრთხოება);
- შპს ,,პრემიუმ ქორფ“ - თან გაფორმებული 2026 წლის 23 სექტემბრის შეთანხმება (პერსონალურ მონაცემთა დაცვა);
- ,,ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და პროცედურების დამტკიცების შესახებ“ აკადემიის დირექტორის 2023 წლის 13 დეკემბრის №034 ბრძანება;
- შპს მსოფლიო განათლების აკადემიის სტრატეგიული განვითარების გეგმა 2024- 2031 (2024 წლის 23 აპრილის №009 ბრძანება);
- შპს მსოფლიო განათლების აკადემიის 2026 წლის სამოქმედო გეგმა (2026 წლის 20 იანვრის № 00000382 ბრძანება);
- ინტერვიუს შედეგი.


4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები რეგულირდება შინაგანაწესით, პერსონალის მართვის მექანიზმებით, საშტატო განრიგით, სამუშაო აღწერილობებითა და დასაქმებულებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით. წარმოდგენილი რეგულაციები მოიცავს პერსონალის საჭიროების განსაზღვრის, მოზიდვის, შერჩევის, სამსახურში მიღების, სამუშაო გარემოში ინტეგრაციის, საქმიანობის შეფასების, პროფესიული განვითარების, ინფორმაციის მართვისა და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საკითხებს.

შინაგანაწესი წარმოადგენს დაწესებულებაში შრომითი ურთიერთობების ერთ-ერთ ძირითად მარეგულირებელ დოკუმენტს და განსაზღვრავს დაწესებულებასა და დასაქმებულებს შორის ურთიერთობებს, შრომით და დისციპლინურ უფლება-მოვალეობებს, სამუშაო ადგილზე ქცევის წესებსა და პასუხისმგებლობის საკითხებს. დოკუმენტის მოთხოვნები ვრცელდება დაწესებულების პერსონალსა და შრომით ურთიერთობაში მყოფ სხვა პირებზე. ამავე დოკუმენტით განსაზღვრულია ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ვალდებულება, საქმიანობა წარმართონ შრომითი ხელშეკრულების, შინაგანაწესის, შესაბამისი სამუშაო აღწერილობისა და სხვა შიდა რეგულაციების შესაბამისად.


პერსონალის პირადი საქმეების შესწავლით დადგინდა, რომ ისინი მოწესრიგებულია და მოიცავს დასაქმებასთან, განათლებასთან, კვალიფიკაციასა და პროფესიულ გამოცდილებასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას. პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები განსაზღვრავს შრომითი ურთიერთობის არსებით პირობებს, მათ შორის სამუშაოს შინაარსს, სამუშაო ადგილს, შრომის ანაზღაურებას, მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს. ვანის მისამართისთვის დამატებული ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შრომით ხელშეკრულებებში სამუშაო ადგილად მითითებულია ვანის მისამართი, რაც შეესაბამება მათი დასაქმების მიზანსა და ფაქტობრივ ფუნქციურ დატვირთვას.

პერსონალის მართვის მექანიზმებით ასევე განსაზღვრულია, რომ შრომითი ხელშეკრულების გაფორმებამდე დასაქმებული უნდა გაეცნოს სამუშაო აღწერილობას, შინაგანაწესსა და მის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა მარეგულირებელ დოკუმენტებს. ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუებით დადასტურდა, რომ თანამშრომლები ინფორმირებული არიან როგორც საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებზე, ისე დაწესებულებაში მოქმედ ძირითად წესებსა და შრომითი ურთიერთობის პირობებზე.

ამრიგად, დაწესებულებაში პერსონალის მართვა ეფუძნება წინასწარ განსაზღვრულ შიდა რეგულაციებს; პერსონალის მიღება, შრომითი ურთიერთობის გაფორმება და პირადი საქმეების წარმოება ხორციელდება დოკუმენტირებული ფორმით, ხოლო ადგილზე შესწავლილი პრაქტიკა შეესაბამება დაწესებულების მიერ განსაზღვრულ პირობებსა და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრული შესაბამისობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პსდ-ის პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით


დაწესებულების პერსონალის მართვის მექანიზმებით განსაზღვრულია პერსონალის საჭიროების იდენტიფიცირების, მოზიდვისა და შერჩევის პროცედურები. პერსონალის დაგეგმვა უკავშირდება დაწესებულების სტრუქტურას, საშტატო განრიგს, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებს, აგრეთვე ძირითადი და დამხმარე პროცესების მდგრადად განხორციელების საჭიროებას. დოკუმენტით პერსონალის მოზიდვისა და შერჩევის საფუძვლად განსაზღვრულია გამჭვირვალობის, თანასწორობის, სამართლიანობის, ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის პრინციპები.

პერსონალის შერჩევის პოლიტიკა ითვალისწინებს თანამდებობის დაკავების ორ გზას: კონკურსის წესით და კონკურსის გარეშე, პირდაპირი შერჩევა - დაკონტრაქტების გზით. შესაბამისად, დაწესებულების შიდა რეგულაცია ყველა პოზიციის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების უპირობო ვალდებულებას არ ადგენს. ამასთან, პირდაპირი შერჩევის შემთხვევაშიც კანდიდატის დანიშვნა არ ხდება საკვალიფიკაციო მოთხოვნების გაუთვალისწინებლად: შესაბამისი კანდიდატის წარდგენაზე პასუხისმგებელია დირექტორი, უშუალო ხელმძღვანელი ან რეგულაციით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილი პირი, ხოლო კანდიდატის შესაბამისობა უნდა შეფასდეს პოზიციისთვის დადგენილი განათლების, გამოცდილებისა და კომპეტენციის მოთხოვნებთან მიმართებით. კანდიდატის კვალიფიკაციის დამატებითი შემოწმების უფლებამოსილება მინიჭებული აქვს საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს.

ვანის მისამართზე ფუნქციონირების მიზნით დამატებული ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი კონკურსის გარეშე, პირდაპირი შერჩევის გზით იქნა დასაქმებული. აღნიშნული გარემოება არ ეწინააღმდეგება დაწესებულების მიერ დამტკიცებულ პერსონალის შერჩევის წესს, ვინაიდან შიდა რეგულაციით პირდაპირი შერჩევა განსაზღვრულია პერსონალის დასაქმების ერთ-ერთ დასაშვებ ფორმად. პირადი საქმეების შესწავლით დადასტურდა, რომ ამ გზით შერჩეული თანამშრომლები აკმაყოფილებენ შესაბამისი პოზიციებისთვის განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, მათთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები და გამოცემულია შესაბამისი სამართლებრივი აქტები. ანალოგიურად, ფიქსირდება შემთხვევა როცა პროგრამის ხელმძღვანელის სარეკომენდაციო ბარათის საფუძველზე არის დანიშნული კვალიფიციური მასწავლებლები.

ამასთან, რამდენიმე მოდულის ფარგლებში პროფესიული განათლების მასწავლებელთა შერჩევა განხორციელდა კონკურსის წესით. წარმოდგენილი ბრძანებებისა და საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმების შესწავლით დადასტურდა, რომ განსაზღვრული იყო საკონკურსო პროცედურის ორგანიზაციული საფუძვლები და კანდიდატთა შერჩევა განხორციელდა დაწესებულების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. საკონკურსო გადაწყვეტილებების ოქმებში ასახვა უზრუნველყოფს პროცესისა და მიღებული გადაწყვეტილებების დოკუმენტურ მიკვლევადობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ამდენად, დაწესებულებაში კონკურსის წესითა და კონკურსის გარეშე პერსონალის შერჩევა წარმოადგენს ერთი პოლიტიკის ფარგლებში განსაზღვრულ ორ განსხვავებულ პროცედურას. ორივე შემთხვევაში კანდიდატის დასაქმების არსებითი საფუძველია მისი კვალიფიკაციის შესაბამისობა წინასწარ განსაზღვრულ მოთხოვნებთან. შესწავლილი პრაქტიკით არ გამოვლენილა ისეთი შემთხვევა, როდესაც პირი დასაქმებული იყო პოზიციის საკვალიფიკაციო მოთხოვნების უგულებელყოფით ან დაწესებულების მიერ დადგენილი შერჩევის პროცედურის დარღვევით.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრული შესაბამისობა.

3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას

დაწესებულებას საშტატო განრიგით გათვალისწინებული პოზიციებისთვის დამტკიცებული აქვს სამუშაო აღწერილობები, რომლებშიც განსაზღვრულია შესაბამისი თანამდებობის ადგილი ორგანიზაციულ სტრუქტურაში, ანგარიშვალდებულება, ძირითადი ფუნქციები, განათლების დონე, პროფესიული კომპეტენციები, სამუშაო გამოცდილება, ენობრივი და სხვა საჭირო უნარები. შესაბამისად, პერსონალის კვალიფიკაციის შეფასებისთვის დაწესებულებას გააჩნია წინასწარ განსაზღვრული და კონკრეტულ პოზიციასთან დაკავშირებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები.


პერსონალის პირადი საქმეების შესწავლისას დასაქმებულთა განათლების, პროფესიული გამოცდილებისა და კომპეტენციების დამადასტურებელი დოკუმენტები შედარდა შესაბამისი თანამდებობისთვის დამტკიცებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის განათლება და პროფესიული გამოცდილება შეესაბამება დაკავებული პოზიციების მოთხოვნებს.

შესაბამისობა დადასტურდა ვანის მისამართზე ფუნქციონირებისთვის დამატებული პერსონალის მიმართაც. პირად საქმეებში წარმოდგენილი დოკუმენტაცია შეესაბამებოდა შესაბამისი პოზიციისთვის განსაზღვრულ განათლების, გამოცდილებისა და კომპეტენციის მოთხოვნებს. პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის შეფასებისას გათვალისწინებული იყო მათ მიერ განსახორციელებელი მოდულების შინაარსი და შესაბამის სფეროში განათლება ან პროფესიული გამოცდილება. პირადი საქმეების შესწავლით არ გამოვლენილა შემთხვევა, როდესაც პროფესიული განათლების მასწავლებელს არ გააჩნდა შესაბამისი მოდულის განხორციელებისთვის საჭირო კომპეტენცია.

ინტერვიუების ფარგლებში თანამშრომლებმა აღწერეს საკუთარი ფუნქციები, პასუხისმგებლობები და სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან ურთიერთობის ფორმები. მათ მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია შეესაბამებოდა სამუშაო აღწერილობებით განსაზღვრულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



უფლებამოსილებებს. ამდენად, დოკუმენტურად დადასტურებულ კვალიფიკაციასთან ერთად, ინტერვიუების შედეგებითაც გამოიკვეთა თანამშრომელთა პროფესიული მზაობა დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად.

წარმოდგენილი მტკიცებულებების ერთობლივი შეფასებით დადგინდა, რომ დაწესებულებას აქვს პერსონალის კვალიფიკაციის შეფასების მკაფიო საფუძველი, ხოლო დასაქმებულთა განათლება, გამოცდილება და პროფესიული კომპეტენციები შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებსა და მათთვის განსაზღვრულ ფუნქციურ დატვირთვას.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრული შესაბამისობა.

4. პსდ-ის პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს


დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა ითვალისწინებს თანამშრომელთა სამუშაო გარემოში ინტეგრაციას, საქმიანობის შეფასებასა და თვითშეფასებას, უკუკავშირის მიღებას, პროფესიული განვითარების საჭიროებების გამოვლენასა და პერსონალის ჩართულობას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

მონაწილეობითი მიდგომა ასახულია პერსონალის შეფასების მექანიზმშიც, რომელიც მოიცავს თანამშრომლის თვითშეფასებას, უშუალო ხელმძღვანელის შეფასებას, დაქვემდებარებული პირის მიერ ხელმძღვანელის შეფასებასა და მიღებული შედეგების ერთობლივად განხილვას. უკუკავშირის პროცესში თანამშრომელი და ხელმძღვანელი თანხმდებიან შემდგომ აქტივობებსა და პროფესიული განვითარების საჭიროებებზე. სამუშაო აღწერილობებით პერსონალი ასევე მონაწილეობს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებასა და შესაბამის ანგარიშგებაში.

ბაღდათისა და ვანის მისამართებზე საქმიანობის ორგანიზება ეფუძნება ადგილზე დასაქმებული და ორივე მისამართისთვის საერთო პერსონალის კოორდინირებულ მუშაობას. ინტერვიუებით დადასტურდა, რომ თანამშრომლები ინფორმირებული არიან საკუთარ ფუნქციებზე, თანამშრომლობენ შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან და საჭიროებისამებრ ერთობლივად განიხილავენ სამუშაო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების შედეგებით დგინდება, რომ მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპები ასახულია როგორც დაწესებულების რეგულაციებში, ისე პერსონალის საქმიანობის პრაქტიკაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრული შესაბამისობა.

დასტურდება (მტკიცებულებები):


- შპს მსოფლიო განათლების აკადემიის შინაგანაწესი (2023 წლის 14 დეკემბრის №046 ბრძანება);
- შპს მსოფლიო განათლების აკადემიის პერსონალის მართვის მექანიზმები (№006; 06.11.2023)
- შპს მსოფლიო განათლების აკადემიის დებულება (ბრძ. №01-01-015; 27. 06. 025)
- შპს მსოფლიო განათლების აკადემიის ორგანიზაციული სტრუქტურა;
- ,,შპს მსოფლიო განათლების აკადემიის საშტატო პოზიციებისთვის გათვალისწინებული სამუშაო აღწერილობების დამტკიცების შესახებ“ შპს მსოფლიო განათლების აკადემიის დირექტორის 2025 წლის 14 ივლისის №1-01-018 ბრძანება (ცვლილებებით);
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების თაობაზე ბრძანება (№1-01-009 და საკონკურსო დოკუმენტაცია)
- პროგრამის ხელმძღვანელის სარეკომენდაციო ბარათი მასწავლებელთა დანიშვნასთან დაკავშირებით;
- აკადემიის საშტატო განრიგი;
- დასაქმებულთა პირადი საქმეები
- შრომითი ხელშეკრულებები;

შეფასება:

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა


5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 26 აგვისტოს №1015166 გადაწყვეტილებით, შპს „მსოფლიო განათლების აკადემიას“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი ექვსი წლის ვადით მიენიჭა. დაწესებულება 2024 წლიდან ფუნქციონირებს ბაღდათის მუნიციპალიტეტში. წარმოდგენილი განაცხადის თანახმად, აკადემია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, მათ შორის „სასტუმრო მომსახურების“ პროგრამის, განხორციელებას გეგმავს ქალაქ ვანში, ჭავჭავაძის ქუჩა №22-ში.

წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, აღნიშნულ მისამართზე აკადემიის საკუთრებაშია 595 კვ. მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი №31.01.26.510) და მასზე განთავსებული სამსართულიანი შენობა, რომლის საერთო ფართობია 1 246,42 კვ. მ. უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება დაწესებულებისთვის ინფრასტრუქტურით სარგებლობის საფუძველს ქმნის ავტორიზაციის დარჩენილი ვადის განმავლობაში.

ადგილზე ვიზუალური დათვალიერებით დადასტურდა ფოიეების, თეორიული სწავლების აუდიტორიების, კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო სივრცეების, ადმინისტრაციული პერსონალისა და პროგრამების განმახორციელებელი პირებისთვის განკუთვნილი სამუშაო სივრცეების, პროფესიული სტუდენტების სამუშაო და დასასვენებელი სივრცეების, ადაპტირებული სანიტარიული კვანძების, არქივისთვის განკუთვნილი სივრცის, კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი სამკითხველო სივრცის, აგრეთვე პირველადი გადაუდებელი დახმარების კაბინეტის არსებობა. სივრცეები ფუნქციურად გამიჯნულია და მათი განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული საქმიანობის წარმართვას. წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადებებითა და მიღება-ჩაბარების აქტებით დასტურდება შესაბამისი მატერიალური რესურსის ფლობა. ვიზუალური დათვალიერების შედეგად ასევე დადგინდა, რომ ადმინისტრაციული საქმიანობისთვის განკუთვნილი სივრცეები აღჭურვილია საჭირო რესურსით.

ამდენად, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ადგილზე დათვალიერების შედეგების ერთობლივი შეფასებით, დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით ავტორიზაციის ვადით.


ინდიკატორის მოთხოვნასთან შესაბამისობა სრულად დასტურდება

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის**

აკადემიის „პროფესიულ სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის წესით განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის უფლება, დაწესებულების მიერ დადგენილი წესით, თანაბარ პირობებში ისარგებლოს აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით. დაწესებულებას ასევე დამტკიცებული აქვს მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მართვისა და სარგებლობის წესი და საბიბლიოთეკო რესურსების მართვისა და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. ეს უკანასკნელი ითვალისწინებს სამკითხველო სივრცითა და კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობას.

ვანის მისამართზე წარმოდგენილი სივრცეების ფლობის დამადასტურებელი ფორმისა და ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე დადასტურდა სასწავლო აუდიტორიების, კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი სივრცეების, ფოიეს, პროფესიული სტუდენტებისთვის განკუთვნილი სამუშაო და დასასვენებელი სივრცეების, ბიბლიოთეკის/სამკითხველოსა და სანიტარიული კვანძების არსებობა. აღნიშნული სივრცეების დანიშნულება, მათი მოწყობა და დაწესებულების შიდა წესებით განსაზღვრული სარგებლობის უფლება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისთვის ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსის ხელმისაწვდომობას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზუალური დათვალიერების შედეგების ერთობლივი შეფასებით, **დასტურდება ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.**

3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები

აკადემიის შინაგანაწესი განსაზღვრავს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის ვალდებულებას. წარმოდგენილ არასაშტატო პოზიციების ჩამონათვალში გათვალისწინებულია დასუფთავების სპეციალისტის პოზიციაც. აკადემიას ვანის მისამართზე ჰყავს 2 დასუფთავების სპეციალისტი.

ვანის მისამართზე ვიზუალური დათვალიერებით დადასტურდა სივრცეების სისუფთავე. შენობის ყველა სართულზე სანიტარიული კვანძები იყო სუფთა და გამართული; მოწყობილია ქალთა, მამაკაცთა და შშმ პირთათვის ადაპტირებული სანიტარიული კვანძები.


დაწესებულებას ვანის მისამართზე საქმიანობა ჯერ არ დაუწყია, ამიტომ მიმდინარე დასუფთავების პრაქტიკა არ შეფასებულა. ვიზიტის დროს არსებული მდგომარეობისა და წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე **დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა**.

4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით

ვანის მისამართზე შენობის ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ ცენტრალური გათბობის სისტემა დამონტაჟებული არ იყო. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია საგადასახადო ანგარიშფაქტურა, რომელშიც მითითებულია „გათბობის სისტემების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



დამონტაჟების“ მომსახურება. თუმცა, ამ დოკუმენტის არსებობის მიუხედავად, ვიზიტის დროს შენობაში დამონტაჟებული ცენტრალური გათბობის სისტემა არ გამოვლენილა.

შესაბამისად, ვიზიტის დროისთვის ინდიკატორის მოთხოვნასთან შესაბამისობა არ დადასტურდა.


დაწესებულებამ 2026 წლის 6 ოქტომბრის №00008965 კორესპონდენცია, რომლის თანახმად შენობაში დასრულებულია ცენტრალური გათბობის სისტემის მონტაჟი. მტკიცებულებებად წარმოდგენილია 3 ფოტო, გათბობის სისტემის დამონტაჟების საგადასახადო ანგარიშფაქტურა (2026 წლის 20 სექტემბრის) და მოთხოვნილია 5.1.1. (4) ინდიკატორის სრულ შესაბამისად შეფასება.

ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა არგუმენტირებული პოზიცია და თანდართული მასალები. დადგინდა, რომ დაწესებულება დაეთანხმა დასკვნის პროექტში ასახულ ფაქტობრივ გარემოებას, რომ ექსპერტთა ვიზიტის დროს შენობაში გათბობის სისტემა არ იყო დამონტაჟებული. ავტორიზაციის დებულების 51-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნის პროექტი მზადდება განაცხადის, თანდართული დოკუმენტაციისა და ვიზიტის შედეგების საფუძველზე. ამავე მუხლის მე - 6 და მე - 7 პუნქტები ითვალისწინებს პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებზე დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის განხილვას საბოლოო დასკვნის მომზადებისას. წარმოდგენილი ფოტოები ასახავს ვიზიტის შემდგომ განხორციელებულ აქტივობებს. თუმცა მხოლოდ აღნიშნული მასალით ვერ დასტურდება შენობის ცენტრალური გათბობის სისტემით სრულად უზრუნველყოფა და სისტემის სამუშაო რეჟიმში ფუნქციონირება. ამასთან, წარმოდგენილი მასალა არ ცვლის ვიზიტისას დადგენილ ფაქტს, რომლის საფუძველზეც, დებულების თანახმად, მზადდება დასკვნა. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება დაწესებულების მოთხოვნას 5..1.1. (4) ინდიკატორის სრულ შესაბამისობაში შეფასების შესახებ.

ამასთან, ექსპერტთა ჯგუფმა გააანალიზა, დაწესებულების მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილი 5.1 კომპონენტთან (მე-4 ინდიკატორი) შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. დაწესებულებას განსაზღვრული ჰქონდა რომ შენობის ცენტრალური გათბობით სრულად უზრუნველყოფა დასრულდებოდა 2026 წლის 25 ოქტომბრისთვის. ვადასთან ერთად განსაზღვრულია პასუხისმგებელი და შემსრულებელი პირები.

ავტორიზაციის დებულების მე-40 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფი ინდიკატორს აფასებს როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები

აკადემიის ,,ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა“ ითვალისწინებს სამუშაო გარემოში საფრთხეების იდენტიფიცირებას, რისკების პრევენციას, დასაქმებულთა ინფორმირებასა და ინსტრუქტაჟს, საფრთხის შესახებ შეტყობინებასა და შესაბამის რეაგირებას. აკადემიის შინაგანაწესით განსაზღვრულია უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნისა და უსაფრთხოების წესების შესრულების კონტროლის ვალდებულებაც. ვიზიტის დროს შესწავლილი იქნა შპს „ჯეო სეიფთისთან“ გაფორმებული შრომის უსაფრთხოების მომსახურების ხელშეკრულება და კომპანიის მიერ განსაზღვრული ორი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები. როგორც ვიზიტზე დადგინდა, სპეციალისტები აკადემიას ემსახურებიან როგორც ბაღდათის, ისე ვანის მისამართზე. ორი სპეციალისტის პოზიცია გათვალისწინებულია დაწესებულების არასამტატო განრიგშიც.

წარმოდგენილი შიდა რეგულაციებისა და ვიზიტის დროს შესწავლილი დოკუმენტების საფუძველზე **დასტურდება ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა**


6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები

აკადემიის „მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მართვისა და სარგებლობის წესით“ განსაზღვრულია სასწავლო პროცესისთვის საჭირო ინვენტარის, მასალებისა და ნედლეულის მოთხოვნის, შესყიდვის, შენახვის, გაცემისა და აღრიცხვის თანმიმდევრობა. წესის თანახმად, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური საჭირო მასალების ნუსხას შესაბამის განმახორციელებელ პირთან ერთად ადგენს და დირექტორს წარუდგენს მათი გამოყენების დაწყებამდე სულ მცირე 10 სამუშაო დღით ადრე. დირექტორის თანხმობის შემდეგ ხორციელდება შესყიდვა. მასალების გაცემა აღირიცხება ჟურნალში, ხოლო გამოყენების შემდეგ მზადდება გახარჯული მასალების ანგარიში და, საჭიროების შემთხვევაში, გაუხარჯავი მარაგი ბრუნდება.

სამუშაო აღწერილობებით პასუხისმგებლობები განაწილებულია სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსს, ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის უფროსს, მატერიალური რესურსების კოორდინატორსა და ბუღალტერს შორის. კერძოდ, განსაზღვრულია მოთხოვნის მომზადება, შესყიდვა, მარაგის შენახვა და ხარჯვის კონტროლი, აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვა. აკადემიას დამტკიცებული აქვს ტექნოლოგიური პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების მართვის გეგმაც, რომელიც მასალების გამოყენების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების დახარისხების, დროებითი შენახვისა და გატანის წესებს ადგენს. ვანის მისამართზე დაწესებულება ჯერ საქმიანობას არ ახორციელებს და წარმართავს არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



წარმოდგენილი რეგულაციებისა და სამუშაო აღწერილობების საფუძველზე **დასტურდება ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა**.

7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას

აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და პროცედურები ითვალისწინებს ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების შეფასებას, დაინტერესებული მხარეების ჩართულობას, მიღებული ინფორმაციის ანალიზსა და გაუმჯობესების ღონისძიებების დაგეგმვას. მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მართვისა და სარგებლობის წესით განსაზღვრულია უფრო კონკრეტული პროცედურა: მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გეგმიური შეფასება სასწავლო წლის განმავლობაში არანაკლებ ორჯერ ტარდება, ხოლო პასუხისმგებელი პირი მის მონიტორინგს კვირაში არანაკლებ ერთხელ ახორციელებს. შეფასების შედეგები განიხილება დირექტორთან და საჭიროების მიხედვით იგეგმება რესურსის შეძენა, განახლება ან აღდგენა.


მექანიზმის გამოყენება ასახულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2025 წლის ანგარიშში, სადაც აღწერილია მატერიალური და ინფრასტრუქტურული რესურსების შემოწმება და ინვენტარიზაციის შედეგების ანალიზი. 2026 წლის სამოქმედო გეგმა ასევე ითვალისწინებს რესურსების შეფასებასა და ბაღდათისა და ვანის ლოკაციებზე მათ განვითარებას. **წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დასტურდება ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.**

8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის

აკადემიაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, მათ შორის შშმ პირების საჭიროებების შესაბამისად ადაპტირებული, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით და სათანადოდაა მოწესრიგებული (დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები); უზრუნველყოფილია უწყვეტი განათებითა და ბუნებრივი ვენტილაციით. წარმოდგენილია დასუფთავების სპეციალისტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა

ვიზუალური დათვალიერების შედეგად დგინდება, რომ აკადემიაში არსებულ სასწავლო/სამუშაო მიზნებისთვის განკუთვნილ სივრცეებს, სამკითხველო სივრცეებს აქვთ როგორც ბუნებრივი ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა, რაც უზრუნველყოფს სწავლისთვის/მუშაობისთვის საჭირო შესაბამის პირობებს

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას

დაწესებულებაში სასწავლო და ადმინისტრაციული სივრცეები დაგეგმარებულია და განლაგებულია იმგვარად, რომ უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესების ეფექტიანი, შეუფერხებელი და ერთმანეთისგან ფუნქციურად გამიჯნული წარმართვა. პროფესიული სტუდენტებისთვის განკუთვნილი სასწავლო გარემო და დასასვენებელი სივრცე უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და სტუდენტთა საჭიროებების დაკმაყოფილებას, ხოლო ადმინისტრაციული პერსონალისა და პროგრამის განმახორციელებელი პირებისთვის გამოყოფილი სამუშაო და დასასვენებელი სივრცეები შეესაბამება მათ ფუნქციურ დატვირთვას.


სასწავლო და ადმინისტრაციული სივრცეების განაწილება უზრუნველყოფს პროცესების პარალელურად და შეუფერხებლად განხორციელებას, რაც ხელს უწყობს დაწესებულების ყოველდღიური საქმიანობის ორგანიზებულ და ეფექტიან მართვას.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

11.მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად

აკადემიას ძირითადი ბიბლიოთეკა ბაღდათის მისამართზე აქვს. ვანის მისამართზე ვიზუალური დათვალიერებით დადასტურდა მცირე, ღია ტიპის საბიბლიოთეკო სივრცე, სადაც განლაგებულია ბეჭდური წიგნები. ვანში დანიშნულია ბიბლიოთეკარი, რომელიც მკითხველს მოემსახურება. თეორიული აუდიტორიების წინ ცალკე მოწყობილია სტუდენტთა სამუშაო და სამკითხველო სივრცეები კომპიუტერებით. ვანის მისამართზე საგანმანათლებლო რესურსის უმეტესი ნაწილი ელექტრონული ფორმითაა ხელმისაწვდომი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აკადემიის საბიბლიოთეკო წესით განსაზღვრულია მატერიალური და ელექტრონული რესურსების აღრიცხვის, დამუშავებისა და მათით სარგებლობის პროცედურები. ვიზიტის დროს შემოწმდა წიგნების საინვენტარო აღრიცხვა და *OpenBiblio*-ს კატალოგში ჩანაწერები. წარმოდგენილია აგრეთვე *OpenBiblio*-ს სისტემის მომსახურების ხელშეკრულება. ამდენად, ვანის მისამართზე დადასტურებულია როგორც ბეჭდური და ელექტრონული რესურსის ხელმისაწვდომობა, ისე მისი საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად დამუშავება.


დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საჯარო რეესტრის ამონაწერი;
- ფართების აზომვითი ნახაზები;
- შევსებული ფორმა ავტორიზაციის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო სივრცეების/ფართების ფლობის შესახებ;
- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, მათ შორის სასაქონლო ზედნადებები, საგადახდო დავალებები, მიღება- ჩაბარების აქტები;
- ,,შპს მსოფლიო განათლების აკადემიის საშტატო პოზიციებისთვის გათვალისწინებული სამუშაო აღწერილობების დამტკიცების შესახებ“ შპს მსოფლიო განათლების აკადემიის დირექტორის 2025 წლის 14 ივლისის №1-01-018 ბრძანება (ცვლილებებით)
- მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მართვისა და სარგებლობის წესი (2023 წლის 11 დეკემბრის №018 ბ
- პროფესიულ სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის წესი (2023 წლის 12 დეკემბრის №027 ბრძანება);
- საბიბლიოთეკო რესურსების მართვისა და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი (2023 წლის 11 დეკემბრის №019 ბრძანება);
- OpenBiblio-ს მომსახურების ხელშეკრულება (2026 წლის 6 თებერვლის №26/13)
- აკადემიის საშტატო განრიგი
- შპს მსოფლიო განათლების აკადემიის შინაგანაწესი (2023 წლის 14 დეკემბრის №046 ბრძანება);
- ტექნოლოგიური პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების მართვის გეგმა (2024 წლის 13 ივნისის №016 ბრძანება);
- ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა (2024 წლის 23 მაისის №011 ბრძანება);
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და პროცედურები (2023 წლის 13 დეკემბრის №034 ბრძანება);
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2025 წლის გეგმის შესრულების ანგარიში;
- შპს ,,ჯეო სეიფთი“ - 2026 წლის 11 აგვისტოს მომსახურების ხელშეკრულება;(შრომის უსაფრთხოება);
- შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



- დასუფთავების სპეციალისტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- დაწესებულებამ 2026 წლის 6 ოქტომბრის №00008965 კორესპონდენციით წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია
- თანდართული მტკიცებულებებით, მათ შორის, შესაბამისობის გეგმა;
- კომუნალური ხარჯების გადახდის მტკიცებულებები;
- პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუს შედეგი.
- ვიზუალური დათვალიერების შედეგი;

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები


სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2026 წლის 18 აგვისტოს №505305326 დასკვნით, ქ. ვანში, ჭავჭავაძის ქ. №22-ში მდებარე შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და შენობა-ნაგებობა ვარგისია ექსპლუატაციისთვის.

ვანის მისამართზე შენობა აღჭურვილია სახანძრო უსაფრთხოებისთვის საჭირო ინვენტარით, დაწესებულებას აქვს შესაბამისი ცეცხლმაქრები, შენობის ყველა სართულზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმა. ამასთან, ვანის შენობის **სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა არ არის წარმოდგენილი**. შესაბამისად, შენობის მდგრადობის შესახებ დადებითი დასკვნის მიუხედავად, ვერ დასტურდება, რომ აღნიშნულ ფართში უსაფრთხოების ზომები ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისად სრულად არის დაცული.

დაწესებულებამ 2026 წლის 06 ოქტომბრის №00008965 არგუმენტირების წერილით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში აკადემიის მიერ 2026 წლის 05 ოქტომბერს გაგზავნილი № 00008948 კორესპონდენცია, რომლითაც ითხოვს შპს მსოფლიო განათლების აკადემიის (ქ. ვანი ჭავჭავაძის ქ. N 22) შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენას. შესაბამისობის გეგმის თანახმად პროცედურის დასრულების თარიღად მითითებულია 2026 წლის 25 ნოემბერი.

ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა შესაბამისობის გეგმა და ინდიკატორი შეფასდა- ,,მეტწილად შესაბამისი".

2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები

აკადემიაში დამტკიცებულია ჯანმრთელობის დაცვისა და ექიმამდელი დახმარების წესები და პროცედურები. დოკუმენტი განსაზღვრავს გადაუდებელ შემთხვევაზე რეაგირების თანმიმდევრობას, პასუხისმგებელი პირის ფუნქციებს, სასწრაფო დახმარების გამოძახებისა და შემთხვევების აღრიცხვის წესს.

ვანის მისამართზე ვიზიტისას დადასტურდა პირველადი გადაუდებელი დახმარებისთვის განკუთვნილი ოთახი, საჭირო რესურსისა და საშუალებების არსებობა და თვალსაჩინოდ გამოკრული დახმარების ინსტრუქცია. დაწესებულებას შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტთან გაფორმებული აქვს მომსახურების ხელშეკრულება. ადგილზე ასევე წარმოდგენილი იყო მომართვებისა და ინციდენტების აღრიცხვის ჟურნალი. აღნიშნული დოკუმენტები და ვიზიტის შედეგები ადასტურებს, რომ დაწესებულებაში პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები დანერგილია.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა

3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი


აკადემიის დირექტორის 2026 წლის 18 სექტემბრის №1-01-023 ბრძანებით დამტკიცებულია ქ. ვანში აკადემიის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2026 წლის 21 სექტემბრის წერილით (MIA 6 26 03391089) დასტურდება, რომ სამსახურმა წარმოდგენილი გეგმა განიხილა, დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისად მიიჩნია და შეათანხმა.

ამრიგად, ვანის მისამართისთვის არსებობს აკადემიის მიერ დამტკიცებული და უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. **დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.**

4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ვანის მისამართზე წესრიგის დაცვის მიზნით აკადემიას შპს „დეტექტორთან“ გაფორმებული აქვს 2026 წლის 11 აგვისტოს №1764 ხელშეკრულება დაცვით-საგანგაშო სიგნალიზაციის მონტაჟისა და ცენტრალური პულტით მომსახურების შესახებ. ხელშეკრულებას დართული მიღება-ჩაბარების აქტი ადასტურებს საგანგაშო სისტემის მონტაჟსა და პულტზე მიერთებას. ეს სისტემა უზრუნველყოფს განგაშის სიგნალზე რეაგირებას.

ვიზიტის პერიოდში დაწესებულებაში არ იყო დამონტაჟებული ვიდეომეთვალყურეობის სისტემა. აკადემიამ წარმოადგინა სასაქონლო ზედნადები, რომლითაც დადასტურებულია 16 შიდა და 6 გარე ვიდეოკამერის ვიდეორეგისტრატორის და ჩანაწერების შესანახი მოწყობილობის შეძენა. თუმცა ვიზიტისას შიდა და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობისა და ჩანაწერების შენახვის მოქმედი სისტემის არსებობა არ დადასტურდა.


დაწესებულებამ 2026 წლის 06 ოქტომბრის №00008965 კორესპონდენციით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომლის მიხედვით აკადემია ითხოვს ინდიკატორის სრულ შესაბამისად შეფასებას, ვინაიდან, მათი განმარტებით, შენობაში უკვე სრულად არის დამონტაჟებული ვიდეოსათვალთვალო სისტემა. მტკიცებულებებად წარმოდგენილია ფოტო მასალა.

ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა არგუმენტირებული პოზიცია და თანდართული მასალები. დადგინდა, რომ დაწესებულება დაეთანხმა დასკვნის პროექტში ასახულ ფაქტობრივ გარემოებას, რომ ექსპერტთა ვიზიტის დროს შენობაში ვიდეოსათვალთვალო სისტემა არ იყო დამონტაჟებული. ავტორიზაციის დებულების 51-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნის პროექტი მზადდება განაცხადის, თანდართული დოკუმენტაციისა და ვიზიტის შედეგების საფუძველზე. ამავე მუხლის მე - 6 და მე - 7 პუნქტები ითვალისწინებს პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებზე დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის განხილვას საბოლოო დასკვნის მომზადებისას. წარმოდგენილი ფოტოები ასახავს ვიზიტის შემდგომ განხორციელებულ აქტივობებს. თუმცა მხოლოდ აღნიშნული მასალით ვერ დასტურდება შენობის ვიდეო სათვალთვალო სისტემით სრულად უზრუნველყოფა და სისტემის სამუშაო რეჟიმში ფუნქციონირება. ამასთან, წარმოდგენილი მასალა არ ცვლის ვიზიტისას დადგენილ ფაქტს, რომლის საფუძველზეც, დებულების თანახმად, მზადდება დასკვნა. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება დაწესებულების მოთხოვნას 5.1 კომპონენტის სრულ შესაბამისობაში შეფასების შესახებ.

ამასთან, ექსპერტთა ჯგუფმა გააანალიზა, დაწესებულების მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილი 5.1.2 კომპონენტთან (მე-4 ინდიკატორი) შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. დაწესებულებას განსაზღვრული ჰქონდა რომ ვიდეოსათვალთვალო სისტემის სრული დასრულდებოდა 2026 წლის 25 ოქტომბრისთვის. ვადასთან ერთად განსაზღვრულია პასუხისმგებელი და შემსრულებელი პირები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ავტორიზაციის დებულების მე-40 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფი კომპონენტს 5.1.2. (4) ინდიკატორს აფასებს როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან“.

დასტურდება (მტკიცებულებები):


- სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2026 წლის 18 აგვისტოს №505305326 დასკვნა;
- ჯანმრთელობის დაცვისა და ექიმამდელი დახმარების წესები და პროცედურები (2023 წლის 12 დეკემბრის №024 ბრძანება);
- პირველად გადაუდებელ დახმარებაზე პასუხისმგებელი პირის პირადი საქმე;
- მიმართვებისა და ინციდენტების აღრიცხვის ჟურნალი;
- შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2026 წლის 21 სექტემბრის №MIA 6 26 03391089 წერილი, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმების თაობაზე;
- აკადემიის დირექტორის 2026 წლის 18 სექტემბრის №1-01-023 ბრძანებით დამტკიცებულია ქ. ვანში აკადემიის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
- შპს „დეტექტორთან“ გაფორმებული №1764 ხელშეკრულება და მისი მიღება-ჩაბარების აქტი;
- 22 სექტემბრის №1009497950 სასაქონლო ზედნადები ვიდეოსათვალთვალო აღჭურვილობასთან დაკავშირებით;
- აკადემიის 2026 წლის 05 ოქტომბრის № 00008948 კორესპონდენცია;
- დაწესებულებამ 2026 წლის 6 ოქტომბრის №00008965 კორესპონდენციით წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია თანდართული მტკიცებულებებით, მათ შორის, შესაბამისობის გეგმა;

შეფასება

☐ შეესაბამება
☒ **მეტწილად შეესაბამება**
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს

აკადემიის ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა და პროცედურები მოიცავს კომპიუტერული ტექნიკის, ქსელის, პროგრამული უზრუნველყოფის, ვებგვერდისა და ელექტრონული სერვისების მართვას. აღნიშნული საშუალებები ემსახურება ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროცესების ორგანიზებას.

ვანის მისამართზე ვიზუალური დათვალიერებით დადასტურდა კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო გარემოები და თეორიული აუდიტორიების მიმდებარედ სტუდენტთათვის მოწყობილი სამუშაო სივრცეები კომპიუტერებით. აკადემიას ჰყავს ერთი ინფორმაციული ტექნოლოგიების კოორდინატორი, რომელიც, ორივე მისამართს ემსახურება. მისი პირადი საქმისა და სამუშაო აღწერილობის შესწავლით, აგრეთვე მასთან გასაუბრებით, დადასტურდა დაკავებულ პოზიციასთან შესაბამისობა და ინფრასტრუქტურის გამართულობაზე პასუხისმგებლობა.


დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების რისკების მართვას

ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი განსაზღვრავს ქსელისა და მოწყობილობების მონიტორინგს, არაავტორიზებული წვდომისა და საზიანო პროგრამებისგან დაცვას, ინციდენტების გამოვლენასა და მათზე რეაგირებას, აგრეთვე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:




კრიტიკული ინფორმაციის სარეზერვო ასლების შექმნას. რისკების მართვა მოიცავს საფრთხეების იდენტიფიცირებას, შეფასებას, პრიორიტეტების განსაზღვრასა და კონტროლის ღონისძიებების პერიოდულ გადახედვას.
IT კოორდინატორის სამუშაო აღწერილობით მას ევალება ქსელის უსაფრთხოება, პროგრამული განახლებები, ვირუსებისგან დაცვა და ელექტრონული დოკუმენტების სარეზერვო ასლების შენახვა. კოორდინატორთან ინტერვიუს მიხედვით, იგი საქმიანობას აღნიშნული წესისა და სამუშაო აღწერილობის შესაბამისად ახორციელებს და ტექნიკურ ხარვეზებზე რეაგირებს.
დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას
აკადემიაში მოქმედებს 2024 წლის 27 მაისის №013 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს მონაცემთა დამუშავების მიზნებსა და პრინციპებს, მათზე წვდომის, უსაფრთხოების, კონფიდენციალობისა და მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის წესებს. ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკაც ითვალისწინებს კრიტიკული ინფორმაციის დაცვასა და სარეზერვო ასლების მართვას.
IT კოორდინატორის სამუშაო აღწერილობაში განსაზღვრულია ინფორმაციის დაცულობის უზრუნველყოფისა და საქმიანობისას პერსონალური მონაცემების დაცვის ვალდებულება. პასუხისმგებელ პირთან გასაუბრებით დადასტურდა ამ მექანიზმების გამოყენება. აკადემიას პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებზე გაფორმებული აქვს საკონსულტაციო მომსახურების ხელშეკრულებაც. ინფორმაცია პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირის თაობაზე ასახულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ვებ გვერდზე (ნ.გ). ოფიცერი აკადემიას მომსახურებას უწევს ორთავე მისამართზე.
დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას
ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი ადგენს IT ბაზის შეფასების მიზანს, პასუხისმგებელ პირს, შედეგების დირექტორისათვის წარდგენასა და გაუმჯობესების მიზნით საჭირო რესურსის მოთხოვნის პროცედურას. შეფასება განსაზღვრულია სასწავლო წლის განმავლობაში არანაკლებ ორჯერ, ხოლო ბაზის მუშაობის მონიტორინგი — კვირაში არანაკლებ ერთხელ.
IT კოორდინატორთან ინტერვიუთი დადასტურდა ინფრასტრუქტურის მუშაობის მონიტორინგისა და გამოვლენილ საჭიროებებზე რეაგირების პრაქტიკა. ბაღდათის მისამართზე 2026 წელს ჩატარებული პროფესიულ სტუდენტთა სერვისების შეფასება მოიცავს კომპიუტერული ტექნიკის, ინტერნეტით სარგებლობისა და IT მხარდაჭერის ხელმისაწვდომობის შესახებ უკუკავშირს. ვანის მისამართზე მომხმარებელთა შეფასება ჯერ ვერ ჩატარდებოდა, რადგან სასწავლო პროცესი არ დაწყებულა და დაწესებულება დანერგავს არსებულ მექანიზმებს.
დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის ხელმისაწვდომია IT ინფრასტრუქტურა და მომსახურება

აკადემიის IT პოლიტიკა განსაზღვრავს კომპიუტერული ტექნიკით, ქსელითა და ელექტრონული სერვისებით სარგებლობის წესებს. ვანის მისამართზე ადგილზე დათვალიერებით დადასტურდა კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო და სტუდენტთა სამუშაო სივრცეების არსებობა. ორივე მისამართზე ტექნიკურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს ინფორმაციული ტექნოლოგიების კოორდინატორი, რომლის ფუნქციებში შედის პერსონალის დახმარება, კომპიუტერების გამართულობის შენარჩუნება და პროგრამული ხარვეზების აღმოფხვრა.

ბაღდათის პროფესიულ სტუდენტთა 2026 წლის გამოკითხვის შედეგებით დადებითადაა შეფასებული კომპიუტერული მოწყობილობების გამართულობა, საკაბელო და უკაბელო ინტერნეტის ხელმისაწვდომობა და IT სპეციალისტის დახმარების მიღების შესაძლებლობა. ეს მონაცემები ადასტურებს მომსახურების გამოყენებას მოქმედ ლოკაციაზე, ხოლო ვანის მისამართზე რესურსისა და მხარდაჭერის მზაობა დადასტურდა ვიზიტითა და ინტერვიუთი.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით

აკადემიის საქმისწარმოების წესი ითვალისწინებს ოფიციალური ელექტრონული ფოსტისა და ასევე, თანამშრომელთა მიერ eFlow-ის გამოყენებას დოკუმენტების მიღების, რეგისტრაციის, შიდა მიმოცვლისა და გაგზავნისთვის. საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი განსაზღვრავს სტუდენტებისა და თანამშრომლების ინფორმირების პასუხისმგებლობას, აგრეთვე ვებგვერდისა და ოფიციალური სოციალური ქსელის მეშვეობით ინფორმაციის გავრცელებას. eFlow გამოიყენება პერსონალის დოკუმენტბრუნვისთვის; სტუდენტებთან ელექტრონული კომუნიკაციის ერთ-ერთი არხია ელექტრონული ფოსტა.

ბაღდათში ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვით დასტურდება, რომ მასწავლებლები სასწავლო პროცესის საკითხებზე სტუდენტებს ელექტრონული ფოსტით უკავშირდებიან; სტუდენტები ინფორმაციის მისაღებად იყენებენ აკადემიის ვებგვერდსა და ოფიციალურ სოციალურ ქსელსაც. IT კოორდინატორი სამუშაო აღწერილობის თანახმად უზრუნველყოფს ელექტრონული ფოსტისა და eFlow-ის ტექნიკურ გამართულობას.


დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

დასტურდება:

- აკადემიის 2023 წლის 11 დეკემბრის №020 ბრძანებით დამტკიცებული „ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა და პროცედურები“;
- აკადემიის 2025 წლის 10 ნოემბრის №1-01-030 ბრძანებით განახლებული საშტატო პოზიციების სამუშაო აღწერილობები - ინფორმაციული ტექნოლოგიების კოორდინატორის ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



- აკადემიის საშტატო განრიგი და ვიზიტისას შესწავლილი IT კოორდინატორის პირადი საქმე;
- აკადემიის 2024 წლის 27 მაისის №013 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა“;
- 2026 წლის 14 ივლისის ხელშეკრულება შპს „პრემიუმ ქორფთან - პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებზე საკონსულტაციო მომსახურების შესახებ — ხელშეკრულებაში ობიექტად მითითებულია ბაღდათის მისამართი;
- აკადემიის საქმისწარმოების წესი და 2025 წლის 12 დეკემბრის №6/26 ხელშეკრულება eFlow-ის მომსახურების შესახებ;
- აკადემიის 2023 წლის 12 დეკემბრის №023 ბრძანებით დამტკიცებული „საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი“;
- 2026 წლის „პროფესიული სტუდენტის მიერ აკადემიის სერვისების შეფასების ანალიზი“ - ბაღდათის მისამართის მონაცემები;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების კოორდინატორთან ჩატარებული ინტერვიუ;
- ვანის მისამართზე კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი გარემოსა და სამუშაო სივრცეების ვიზუალური დათვალიერების შედეგები

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.


კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი

აკადემიაში მოქმედებს 2023 წლის 6 ნოემბრის №001 ბრძანებით დამტკიცებული „საქმისწარმოების წესი (ინსტრუქცია)“. დოკუმენტი განსაზღვრავს შემოსული, გასული და შიდა დოკუმენტების მომზადებას, გაფორმებას, მიღებას, რეგისტრაციას, ინდექსაციასა და მოძრაობას; ასევე ადგენს დავალებების შესრულების ვადების კონტროლის, საქმეთა ფორმირებისა და დოკუმენტების არქივში გადაცემის პროცედურებს. წესში გათვალისწინებულია მატერიალური და ელექტრონული დოკუმენტებით საქმისწარმოება, ელექტრონული ხელმოწერისა და პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



საქმისწარმოებაზე პასუხისმგებლობა დაკისრებული აქვს საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს. სამსახურის უფროსისა და საქმისწარმოების კოორდინატორის სამუშაო აღწერილობები მოიცავს დოკუმენტების მიღებას, რეგისტრაციას, გაგზავნას, შესრულების მონიტორინგსა და საარქივო საქმიანობას. ვიზიტისას შესწავლილი პირადი საქმეები შეესაბამებოდა აღნიშნული პოზიციებისთვის განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ვანის მისამართისთვის დაწესებულებამ საშტატო განრიგში დაამატა კოორდინატორის ერთი საშტატო ერთეული. საქმისწარმოების პრაქტიკის ანალიზით დადასტურებულია არსებული წესის პრაქტიკაში გამოყენება.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის

აკადემიის საქმისწარმოების წესის მე-2 მუხლით ელექტრონული დოკუმენტბრუნვის ძირითად საშუალებად განსაზღვრულია eFlow. წესის თანახმად, მისი საშუალებით ხორციელდება დოკუმენტების მიღება, დამუშავება, რეგისტრაცია, ადრესატებთან გადაგზავნა, შენახვა და შესრულების კონტროლი. 2025 წლის 12 დეკემბრის №6/26 ხელშეკრულებით აკადემიას შეძენილი აქვს eFlow-ის მომსახურება არაუმეტეს 15 მომხმარებლისთვის; მომსახურების მიწოდება განსაზღვრულია 2026 წლის 01 იანვრიდან.

სამსახურის უფროსის ფუნქციებში პირდაპირ არის მითითებული eFlow-ის სისტემის წარმოება. ვიზიტისას სისტემაში დამატებული მომხმარებლები და ელექტრონული საქმისწარმოების პრაქტიკა შემოწმდა. წარმოდგენილი ხელშეკრულება, შიდა წესი, სამუშაო აღწერილობა და ადგილზე შესწავლილი პრაქტიკა ადასტურებს ელექტრონული საქმისწარმოების გამოყენებას აკადემიის მართვაში.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას


საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსის სამუშაო აღწერილობით მას ევალება პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება. ვიზიტისას შესწავლილი პასუხისმგებელი პირების პირადი საქმეები შეესაბამებოდა პოზიციებისთვის დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

ვიზიტისას პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ნიმუშის სახით გადამოწმდა რამდენიმე პროფესიული სტუდენტის სტატუსის შესახებ ჩანაწერი და მათი დამადასტურებელი დოკუმენტები. ასევე შერჩევითად შემოწმდა პროფესიული განათლების მასწავლებლების მონაცემების სისტემაში ასახვა. შერჩეული ჩანაწერების გადამოწმებისა და პასუხისმგებელი პირის საქმიანობის ანალიზის საფუძველზე დადასტურდა მონაცემების შეტანის მექანიზმის პრაქტიკული განხორციელება.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან

აკადემიის საქმისწარმოების წესით უწყებებთან ოფიციალური მიმოწერა ხორციელდება საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირის მეშვეობით, ხოლო სამსახურის უფროსს ევალება გასული დოკუმენტების გაგზავნისა და მათი შესრულების მონიტორინგი.

ვიზიტისას საქმისწარმოების პრაქტიკის ანალიზით დადასტურდა შესაბამის უწყებებთან ანგარიშების, ინფორმაციისა და უკუკავშირის გაცვლის ორგანიზება და ვადების კონტროლი. გამოვლენილი პრაქტიკა შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნას.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

დასტურდება:


- აკადემიის 2023 წლის 6 ნოემბრის №001 ბრძანებით დამტკიცებული „საქმისწარმოების წესი (ინსტრუქცია)“;
- აკადემიის 2025 წლის 10 ნოემბრის №1-01-030 ბრძანებით განახლებული პერსონალის სამუშაო აღწერილობები — საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსისა და საქმისწარმოების კოორდინატორის ფუნქციები;
- სსიპ საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკურ სააგენტოსთან 2025 წლის 12 დეკემბერს გაფორმებული №6/26 ხელშეკრულება eFlow-ის მომსახურების შესახებ;
- აკადემიის 2026 წლის 03 აგვისტოს №00005721 წერილი სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისთვის;
- ცენტრის 2026 წლის 10 სექტემბრის №MES 3 26 0001197444 ბრძანება, რომელშიც მითითებულია 2026 წლის 4 აგვისტოს რეგისტრირებული განაცხადი №1009914;
- ვიზიტისას შესწავლილი საქმისწარმოების პრაქტიკა და eFlow-ში დამატებული მომხმარებლები;
- საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისი პირადი საქმეები;
- პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში შერჩევითად გადამოწმებული პროფესიულ სტუდენტთა სტატუსის ჩანაწერები, მათი დამადასტურებელი დოკუმენტები და მასწავლებელთა მონაცემები.

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს

აკადემიის „საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი“ ვებგვერდსა და სოციალურ ქსელს განსაზღვრავს საკომუნიკაციო და საინფორმაციო არხებად. წესით დადგენილია ინფორმაციის მომზადების, დირექტორთან შეთანხმებისა და მიღებიდან არაუგვიანეს ორი სამუშაო დღისა გამოქვეყნების პროცედურა. ვებგვერდზე ხელმისაწვდომია აკადემიის საკონტაქტო მონაცემები, მისია, სტრუქტურა, პროგრამების აღწერები, კატალოგი და სიახლეები. დომენისა და ჰოსტინგის მომსახურება დასტურდება შპს „პროსერვისთან“ 2023 წლის 01 დეკემბრის ხელშეკრულებით; ხელშეკრულება ითვალისწინებს მისი მოქმედების ყოველწლიურ ავტომატურ გაგრძელებას.
აკადემიის საჯარო Facebook გვერდი საკმაოდ აქტიურად მუშაობს, განსაკუთრებით აკადემიის პოპულარიზაციის მიმართულებით. მას აქვს, ასევე, საკომუნიკაციო ფუნქცია: მაგ. 2026 წლის სექტემბერში გამოქვეყნებულია სასწავლო პროცესის განახლებისა და სტუდენტური აქტივობების ამსახველი მასალა. 13 სექტემბრის ჩანაწერი აცნობებს მკითხველს სწავლის 14 სექტემბერს განახლების შესახებ, ხოლო 15 სექტემბრის ვიდეო ასახავს სასწავლო პროცესის განახლებას. კომენტარებში ჩანს აკადემიის პასუხი მომხმარებლის მიმართ. ვებგვერდზე ასევე გამოქვეყნებულია 2026 წლის მიღებისა და სტუდენტური ღონისძიებების შესახებ ცნობები. ვიზიტისას დადასტურდა, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობას ორი პასუხისმგებელი პირი ემსახურება აკადემიას ფუნქციონირების ორ მისამართზე. მათი პირადი საქმეები შეესაბამებოდა სამუშაო აღწერილობებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. IT კოორდინატორი უზრუნველყოფს ვებგვერდზე ინფორმაციის ტექნიკურ განთავსებასა და მის გამართულ მუშაობას.
დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

2. საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტის ან უცხოენოვანი პროგრამის არსებობის შემთხვევაში დაწესებულებას აქვს შესაბამისი უცხოენოვანი ვებგვერდი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აკადემიის მისია მიმართულია საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის კვალიფიციური კადრების მომზადებისკენ, სტრატეგიული გეგმის მესამე მიზანი განსაზღვრავს ინტერნაციონალიზაციის პროცესების განვითარებას. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებას ამ ეტაპზე არ აქვს უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა ან/და საერთაშორისო პროექტი, სამომავლოდ გეგმავს საერთაშორისო თანამშრომლობის მიმართულების გაძლიერებას.

აღნიშნული პრიორიტეტის გათვალისწინებით, დაწესებულებას შექმნილი აქვს ვებგვერდის ინგლისურენოვანი ვერსია. ვებგვერდზე ხელმისაწვდომია ინგლისური ენის არჩევის ფუნქცია, ინგლისურ ენაზე წარმოდგენილია ძირითადი მენიუ და ინფორმაცია დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრული შესაბამისობა.

3. პსდ უზრუნველყოფს თავისი საქმიანობისა და საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას


აკადემიის საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი კრძალავს შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის გავრცელებას, პასუხისმგებელ სამსახურს ავალებს მასალის სისწორისა და სისრულის გადამოწმებას და განსათავსებელი ტექსტის დირექტორთან შეთანხმებას. სამსახურის უფროსისა და კოორდინატორის სამუშაო აღწერილობები მოიცავს აკადემიის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას, სოციალური ქსელის კონტენტის მომზადებას და მცდარი ინფორმაციის აღმოჩენისას რეაგირებას.
ვებგვერდის შერჩევითი დათვალიერებისას პროგრამების შესახებ გამოქვეყნებული ინფორმაცია შეიცავდა დასახელებას, დაშვების წინაპირობას, კვალიფიკაციასა და სწავლის შედეგებს; „სიახლეების“ განყოფილებაში იდენტიფიცირებულია კონკრეტული ღონისძიებები და მათი თარიღები. წარმოდგენილი მარეგულირებელი მექანიზმისა და საჯარო ინფორმაციის შერჩევითი შემოწმებით შეცდომაში შემყვანი ინფორმაცია არ გამოვლენილა. შეფასება ეხება შესწავლილ მასალას და არ წარმოადგენს ვებგვერდის ყველა ჩანაწერის სრულ ანალიზს.
დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ

აკადემიის ვებგვერდის მთავარ მენიუში განთავსებულია „კატალოგის“ რუბრიკა, სადაც ხელმისაწვდომია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი. დოკუმენტი დაინტერესებულ პირებს პროგრამებისა და დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობის გაცნობაში ეხმარება. კატალოგის საჯარო განთავსება და მასთან მარტივი ნავიგაცია ადასტურებს მის საინფორმაციო ფუნქციას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად

პროგრამების კატალოგი ახლდება არანაკლებ წლიური პერიოდულობით, აგრეთვე ყოველი ახალი პროგრამის დამატებისა და/ან მოქმედ პროგრამებში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად. კატალოგის განახლების პრაქტიკა უზრუნველყოფს, რომ საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი ინფორმაცია იყოს აქტუალური, სანდო და შესაბამისობაში მყოფი მიმდინარე საგანმანათლებლო საქმიანობასთან.

ვებგვერდის გადამოწმებით დადასტურდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგში ბოლო განახლებები განხორციელებულია 2026 წელს, რაც მიუთითებს ინფორმაციის რეგულარულ განახლებასა და დაინტერესებული მხარეების ინფორმირების მიმართ დაწესებულების პასუხისმგებლიან მიდგომაზე.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

6. სხვადასხვა საკომუნიკაციო არხით მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად

საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი ითვალისწინებს კომუნიკაციის პროცესში მიღებული უკუკავშირის სისტემატურ ანალიზს და მისი შედეგების საქმიანობის გასაუმჯობესებლად გამოყენებას. სამსახურის კოორდინატორის სამუშაო აღწერილობით განსაზღვრულია სოციალური ქსელის შედეგების პერიოდული ანალიზი, მომხმარებლებთან კომუნიკაცია და სტუდენტთა თუ პერსონალის გამოკითხვების დაგეგმვა. Facebook გვერდზე აკადემიის პასუხი მომხმარებლის კომენტარზე ადასტურებს ორმხრივი კომუნიკაციის პრაქტიკას.


„პროფესიული სტუდენტის მიერ აკადემიის სერვისების შეფასების ანალიზში“ (ბაღდათი, 2026) შეფასებულია ვებგვერდისა და სოციალური მედიის ინფორმაციულობა და ჩამოყალიბებულია ინფორმირების გაუმჯობესების რეკომენდაციები, მათ შორის, მისიის, ხედვისა და ღირებულებების შესახებ ცნობადობის ზრდა. ამგვარად, უკუკავშირის შეგროვება და ანალიზი დადასტურებულია; დადასტურებულია კონკრეტული შესრულებული ცვლილება, რომელიც უშუალოდ ამ ან სხვა საკომუნიკაციო არხით მიღებულ უკუკავშირს უკავშირდება.

დასტურდება:

- აკადემიის 2023 წლის 12 დეკემბრის №023 ბრძანებით დამტკიცებული „საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი“;
- კადემიის 2024 წლის 23 აპრილის №009 ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული გეგმა;
- პერსონალის ფუნქციები, სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები — საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის, კოორდინატორისა და IT კოორდინატორის ფუნქციები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



- შპს „პროსერვისთან“ 2023 წლის 1 დეკემბრის ხელშეკრულება დომენისა და ჰოსტინგის მომსახურების შესახებ;
- „პროფესიული სტუდენტის მიერ აკადემიის სერვისების შეფასების ანალიზი“, ბაღდათი, 2026;
- . ვიზიტისას შესწავლილი საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი ორი პირის პირადი საქმეები;
- აკადემიის ოფიციალური ვებგვერდი აკადემიის ოფიციალური Facebook გვერდი:

დასტურდება (მტკიცებულებები):

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

08. 10. 2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

